

შპს „თეგეტა მოტორსი“

კონსოლიდირებული და
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „თეგეტა მოტორსი ჯგუფი“	9
2. ჯგუფის საოპერაციო გარემო	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	10
4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში	27
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	29
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	29
7. ძირითადი საშუალებები	31
8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	32
9. მარაგები	33
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	36
12. სესხები	36
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38
14. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	38
15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	39
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	39
17. სხვა საოპერაციო შემოსავალი	40
18. სხვა საოპერაციო ხარჯები	40
19. ფინანსური ხარჯები	40
20. ფინანსური შემოსავალი	41
21. კაპიტალი	41
22. მოგების გადასახადის ხარჯი	41
23. პირობითი ვალდებულებები	41
24. ფინანსური რისკის მართვა	43
25. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	48
26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	48
27. არაფულადი ოპერაციები	50
28. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	50

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თეგეტა მოტორსის“
პარტნიორებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თეგეტა მოტორსის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისა და კომპანიისგან დამოუკიდებლები, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხის პარაგრაფი

ჯგუფის და კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეამოწმა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 31 ივლისს გამოხატა არამოდიფიცირებული მოსაზრება ხსენებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის და კომპანიის წლიურ ანგარიშებში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიშები ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ გახდება.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს ამგვარი ინფორმაცია სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა ჯგუფს და კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადონ ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე


ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა ჯგუფი და კომპანია გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ ჯგუფის და კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულების და საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.



რუსლან ხოროშეილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 15 მაისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თეგეტა მოტორსის“

პარტნიორებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თეგეტა მოტორსის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ას“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისა და კომპანიისგან დამოუკიდებლები, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხის პარაგრაფი

ჯგუფის და კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეამოწმა სხვა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 31 ივლისს გამოხატა არამოდიფიცირებული მოსაზრება ხსენებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის და კომპანიის წლიურ ანგარიშებში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიშები ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ გახდება.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რჩემნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს ამგვარი ინფორმაცია სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვთ თუ არა ჯგუფს და კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელონ, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადონ ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენონ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებენ თუ არა ჯგუფი და კომპანია გააგრძელონ საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმოებმა. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ან კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ ჯგუფის და კომპანიის ფარგლებში არსებული სამეურნეო ერთეულების და საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 15 მაისი

შპს „თეგეტა მოტორსი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	7	81,508	71,166	72,182	61,304
არამატერიალური აქტივები		3,768	3,178	3,711	3,128
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		4,089	–	4,298	–
წინასწარ გადახდილი იჯარა		1,638	1,764	–	–
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები	6	1,078	–	–	–
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1	–	–	3,459	3,038
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	203	267	206	206
სულ გრძელვადიანი აქტივები		92,284	76,375	83,856	67,676
მიმდინარე აქტივები					
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი	6	937	–	160	–
მარაგები	9	91,387	70,183	65,751	51,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	26,913	20,799	18,769	13,676
გადახდილი ავანსები		14,768	5,083	2,829	3,161
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		1,478	–	1,299	–
გაცემული სესხები		28	1,488	7	1,482
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	21,423	13,902	2,837	4,885
სულ მიმდინარე აქტივები		156,934	111,455	91,652	74,916
სულ აქტივები		249,218	187,830	175,508	142,592
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		18,133	4,133	18,133	4,133
გაუნაწილებელი მოგება		60,753	44,119	52,475	43,949
სულ კაპიტალი	21	78,886	48,252	70,608	48,082
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები	12	60,995	64,954	43,672	45,353
საგარანტიო ანარიცხები	6	2,474	–	–	–
სახელმეკრულებო ვალდებულებები		588	2,162	–	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		64,057	67,116	43,672	45,353
მიმდინარე ვალდებულებები					
სესხები	12	41,062	30,484	28,359	17,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	31,175	31,851	26,274	26,980
საგარანტიო ანარიცხები	6	1,162	–	160	–
ფინანსური თავდებობის ანარიცხები		–	–	421	–
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		5,453	3,649	4,759	2,982
სახელმეკრულებო ვალდებულებები	14	27,423	6,478	1,255	1,895
სულ მიმდინარე ვალდებულებები		106,275	72,462	61,228	49,157
სულ ვალდებულებები		170,332	139,578	104,900	94,510
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		249,218	187,830	175,508	142,592

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2019 წლის 15 მაისს

ავთანდილ წერეთელი
გენერალური დირექტორი

რევაზ ზირაქაძე
ფინანსური დირექტორი

9-დან 50-მდე გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თეგეტა მოტორსი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	7	81,508	71,166	72,182	61,304
არამატერიალური აქტივები		3,768	3,178	3,711	3,128
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		4,089	–	4,298	–
წინასწარ გადახდილი იჯარა		1,638	1,764	–	–
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები	6	1,078	–	–	–
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1	–	–	3,459	3,038
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	8	203	267	206	206
სულ გრძელვადიანი აქტივები		92,284	76,375	83,856	67,676
მიმდინარე აქტივები					
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი	6	937	–	160	–
მარაგები	9	91,387	70,183	65,751	51,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	26,913	20,799	18,769	13,676
გადახდილი ავანსები		14,768	5,083	2,829	3,161
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		1,478	–	1,299	–
გაცემული სესხები		28	1,488	7	1,482
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	21,423	13,902	2,837	4,885
სულ მიმდინარე აქტივები		156,934	111,455	91,652	74,916
სულ აქტივები		249,218	187,830	175,508	142,592
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		18,133	4,133	18,133	4,133
გაუნაწილებელი მოგება		60,753	44,119	52,475	43,949
სულ კაპიტალი	21	78,886	48,252	70,608	48,082
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები	12	60,995	64,954	43,672	45,353
საგარანტიო ანარიცხები	6	2,474	–	–	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები		588	2,162	–	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		64,057	67,116	43,672	45,353
მიმდინარე ვალდებულებები					
სესხები	12	41,062	30,484	28,359	17,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	31,175	31,851	26,274	26,980
საგარანტიო ანარიცხები	6	1,162	–	160	–
ფინანსური თავდებობის ანარიცხები		–	–	421	–
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		5,453	3,649	4,759	2,982
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	27,423	6,478	1,255	1,895
სულ მიმდინარე ვალდებულებები		106,275	72,462	61,228	49,157
სულ ვალდებულებები		170,332	139,578	104,900	94,510
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		249,218	187,830	175,508	142,592

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2019 წლის 15 მაისს

ავთანდილ წერეთელი
გენერალური დირექტორი

რევაზ ზირაქაძე
ფინანსური დირექტორი

9-დან 50-მდე გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თეგეტა მოტორსი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		2018	2017	2018	2017
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან	14	427,984	347,347	234,946	204,606
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	15	(347,880)	(277,155)	(175,437)	(151,042)
საერთო მოგება		80,104	70,192	59,509	53,564
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(39,374)	(35,613)	(33,706)	(30,739)
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები		(8,681)	(4,371)	(7,275)	(3,261)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17	2,476	5,048	3,944	4,245
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(2,721)	(1,671)	(1,810)	(1,571)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		31,804	33,585	20,662	22,238
ფინანსური შემოსავალი	20	372	3,211	290	2,958
ფინანსური ხარჯები	19	(12,274)	(9,290)	(9,239)	(5,995)
მეკავშირე საწარმოების შედეგების წილი	8	(22)	58	-	-
მოგება დაბეგვრამდე		19,880	27,564	11,713	19,201
მოგების გადასახადის ხარჯი	22	(638)	(608)	(531)	(562)
წლის მოგება		19,242	26,956	11,182	18,639
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		19,242	26,956	11,182	18,639

9-დან 50-მდე გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თეგეტა მოტორსი“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

ჯგუფი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	4,133	21,163	25,296
გამოცხადებული დივიდენდები (21-ე შენიშვნა)	–	(4,000)	(4,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	26,956	26,956
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	4,133	44,119	48,252
ფასს 9-ის მიღების ეფექტი (მე-4 შენიშვნა)	–	392	392
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,133	44,511	48,644
გამოცხადებული დივიდენდები (21-ე შენიშვნა)	–	(3,000)	(3,000)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (21-ე შენიშვნა)	14,000	–	14,000
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	19,242	19,242
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	18,133	60,753	78,886

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	4,133	29,310	33,443
გამოცხადებული დივიდენდები (21-ე შენიშვნა)	–	(4,000)	(4,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	18,639	18,639
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	4,133	43,949	48,082
ფასს 9-ის მიღების ეფექტი (მე-4 შენიშვნა)	–	344	344
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,133	44,293	48,426
გამოცხადებული დივიდენდები (21-ე შენიშვნა)	–	(3,000)	(3,000)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (21-ე შენიშვნა)	14,000	–	14,000
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	11,182	11,182
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	18,133	52,475	70,608

9-დან 50-მდე გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თეგეტა მოტორსი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	ჯამური		კომპანია	
		2018	2017	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან					
მოგება დაბეგვრამდე		19,880	27,564	11,713	19,201
კორექტირებები:					
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	4,832	3,996	3,633	3,034
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		506	394	495	385
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი / (ამობრუნება)	10	322	(581)	213	(225)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა		(165)	(55)	(168)	(26)
მარაგების ჩამოწერის ამობრუნება		–	(485)	–	–
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხების გამოყენება		–	(50)	–	(50)
შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის გაუფასურების ამობრუნება	11	–	–	–	(2,437)
გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ამობრუნება) / ანარიცხი		(19)	175	(19)	175
საპროცენტო შემოსავალი	20	(372)	(240)	(290)	(232)
საპროცენტო ხარჯი	12, 19	9,672	8,919	6,680	5,769
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი / (შემოსულობა)	19, 20	2,291	(2,971)	2,482	(2,726)
ნაპატიები სავაჭრო ვალდებულებები		(25)	(77)	–	(4)
მარაგების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	9	1,108	498	856	498
ავანსების და უიმედო სესხების ჩამოწერა		–	75	–	55
შემოსავალი დივიდენდებიდან	1	–	–	(2,042)	(45)
მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული შედეგების წილი	8	22	(13)	–	–
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე		38,052	37,149	23,553	23,372
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(5,867)	(1,968)	(4,677)	(2,302)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(9,559)	1,082	332	(691)
ცვლილებები მარაგებში		(22,312)	(22,077)	(14,895)	(14,083)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		576	5,808	237	3,551
ცვლილებები საგარანტიო ანარიცხებში		3,636	–	160	–
ცვლილებები გარანტიებთან დაკავშირებულ აქტივში		(2,015)	–	(160)	–
ცვლილებები სახელმწიფო ვალდებულებებში		19,371	4,312	(640)	727
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		1,804	978	1,777	1,172
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(14,366)	(11,865)	(17,866)	(11,626)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,116)	(963)	(1,830)	(881)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		21,570	24,321	3,857	10,865
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან					
ძირითადი საშუალებების შეძენა		(21,096)	(12,552)	(20,531)	(10,500)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		2,036	603	1,615	–
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,060)	(842)	(1,042)	(842)
შემოსულობა ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის გაყიდვიდან		–	1,137	–	1,137
ფულადი შენატანი შვილობილი და მეკავშირე კომპანიების კაპიტალში		–	–	–	(503)
გაცემული სესხები		(7,174)	(1,018)	(7,474)	(1,018)
გაცემული სესხების დაფარვა		8,666	464	8,966	1,164
მიღებული პროცენტი		256	144	258	195
მიღებული დივიდენდები		6	31	2,006	31
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(18,366)	(12,033)	(16,202)	(10,336)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან					
სესხების აღება	12	156,256	161,016	112,007	129,729
სესხების დაფარვა	12	(151,091)	(151,733)	(103,277)	(118,417)
გადახდილი პროცენტი	12	(10,125)	(9,098)	(6,972)	(5,822)
ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალში	21	14,000	–	14,000	–
გადახდილი დივიდენდები		(3,758)	(3,991)	(3,758)	(3,991)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		5,282	(3,806)	12,000	1,499
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(965)	(23)	(1,703)	419
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		7,521	8,459	(2,048)	2,447
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		13,902	5,443	4,885	2,438
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	21,423	13,902	2,837	4,885

არაფულადი ოპერაციები განხილულია 27-ე შენიშვნაში.

9-დან 50-მდე გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თეგეტა მოტორსი“

2018 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. შპს „თეგეტა მოტორსი ჯგუფი“

შპს „თეგეტა მოტორსის“ („კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომერია 202177205. კომპანია დარეგისტრირდა 2001 წლის 26 აპრილს და ის საქართველოში ფუნქციონერებს. კომპანია შეიქმნა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ, #5.

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა:

აქციონერები	2018	2017
თემურ კოხომე, საქართველოს მოქალაქე	70.0%	70.0%
ზაური ცხადაძე, საქართველოს მოქალაქე	21.0%	21.0%
გიორგი მშვილდაძე, საქართველოს მოქალაქე	3.0%	3.0%
მარინე მუმლაძე, საქართველოს მოქალაქე	3.0%	–
ელგუჯა წაქაძე, საქართველოს მოქალაქე	–	3.0%
ბექა ქილიფთარი, საქართველოს მოქალაქე	1.5%	1.5%
თინა კოხომე, საქართველოს მოქალაქე	1.5%	1.5%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილის იმპორტირებული საბურავების, საპოხი მასალების, აკუმულატორების და სხვა სათანადო ნაწილების გაყიდვა, ასევე ავტომობილების ტექნიკური და სარემონტო მომსახურებების გაწევა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განთავსებულ მომსახურების ობიექტებში. კომპანია ფლობს 25 რეგიონალურ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტს მთელს საქართველოში და ერთ ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში.

კომპანია შემდეგი საწარმოების შიშველი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში:

შვილობილი კომპანია	საქმიანობა	წილი/ხმის უფლება (%)		ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში ('000 ლარი)	
		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
პირდაპირი შვილობილი კომპანიები					
შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	სატრანსპორტო სატვირთო მანქანების, ავტობუსებისა და ტრაილერების ვაჭრობა	100%	100%	0.2	0.2
შპს „თეგეტა კონსტრუქსიონ-ექვიფმენტ“	მძიმე სამშენებლო ავტომობილების ვაჭრობა	100%	100%	0.2	0.2
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“	პორშესა და მაზდას ბრენდის ავტომობილების ვაჭრობა	100%	100%	2,937	2,900
შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“	ტოიოტას ბრენდის ავტომობილების ვაჭრობა და მომსახურება	100%	100%	406	22
შპს „თეგეტა ლიზინგი“	მძიმე სამშენებლო ავტომობილების იჯარა	100%	100%	11	11
შპს „თეგეტა აკადემია“	ავტომობილების მომსახურების ტრენინგ ცენტრი	100%	100%	30	30
შპს „თეგეტა მოტორს თელავი“	არააქტიური	100%	100%	0.2	0.2
შპს „თეგეტა მოტორს ახალციხე“	არააქტიური	100%	100%	0.2	0.2
შპს „თეგეტა ლოგისტიკა“	არააქტიური	100%	100%	74	74
შპს „Geoprotector“	არააქტიური	60%	60%	–	–
შპს „თეგეტა მოტორს ბაქო“	არააქტიური	100%	–	–	–
შპს „აგროსერვისი“	არააქტიური	100%	100%	0.2	0.2
				3,459	3,038

1. შპს „თეგეტა მოტორსი ჯგუფი“ (გაგრძელება)

ყველა შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში, „თეგეტა მოტორს ბაქოს“ გარდა, რომელიც აზერბაიჯანის იურისდიქციის ქვეშ ფუნქციონირებს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, კომპანიამ გადააფასა შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსში“ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და მოახდინა 2,437 ლარის გაუფასურების ამობრუნება.

2018 წლის განმავლობაში, კომპანიის შვილობილმა კომპანიებმა 2,042 ლარის ღირებულების დივიდენდები გამოაცხადეს, შვილობილი კომპანიებისგან მიღებული შემოსავლიდან (2017 წ.: 45 ლარი).

2018 წელს კომპანიამ თავდებობა აიღო მისი შვილობილი კომპანიების სასესხო ვალდებულებაზე რეალური ღირებულებით 421 ლარი, რომელიც კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციის თვითღირებულების ზრდის სახით აისახა.

ჯგუფის მეკავშირე საწარმოები მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გაძლიერებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. შედეგად, ბოლო წლებში საქართველომ გააუმჯობესა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, მათ შორის ქვეყნის გარე წყაროებით შეფასებული მაჩვენებლებიც, როგორიც არის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი, ბიზნესის განხორციელების სიმარტივე, ეკონომიკური თავისუფლება და სხვ. ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) მომზადების საფუძველი

ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები (ერთად „ფინანსური ანგარიშგებები“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-4 შენიშვნაშია განხილული.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსურ ანგარიშგებებში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს

მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფს აქვს ხმის უფლების მქონე უმრავლესობაზე ნაკლები ან საინვესტიციო ობიექტის მსგავსი უფლებები, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას ითვალისწინებს იმის შეფასებისათვის, აქვს თუ არა მას უფლება საინვესტიციო ობიექტზე, მათ შორის:

- ▶ საკონტრაქტო შეთანხმება საინვესტიციო ობიექტის ხმის უფლების სხვა მფლობელებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან წარმოქმნილი უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა საინვესტიციო ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობს კონტროლის სამი ელემენტიდან ერთის ან მეტის ცვლილება. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიგნით ყველა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადები, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრებს შორის ტრანსაქციებს სრულად უქმდება კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღრიცხება როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო წილის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება ფასდება როგორც შეძენის დღისათვის რეალური ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს შეძენილი კომპანიის არასაკონტროლო წილს რეალური ღირებულებით ან შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული საწარმოს მიერ ხელშეკრულებებში ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემძენის მიერ, აღიარებულია რეალური ღირებულებით შემძენის თარიღისათვის. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და მისი შემდგომი გადახდა აღირიცხება კაპიტალში. პირობითი ანაზღაურება, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“; ფასდება რეალური ღირებულებით და ფასს 9-ის შესაბამისად რეალური ღირებულების ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. სხვა პირობითი ანაზღაურება, რომელიც არ ექცევა ფასს 9-ის მოქმედების არეალში, ფასდება რეალური ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მოგებაში ან ზარალში აღიარებული რეალური ღირებულების ცვლილებით.

(ii) ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში, შვილობილ საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის მიერ ფლობილ ნეტო აქტივებში შემძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში ჯგუფის წილს. ამგვარი საინვესტიციო ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენილია ჯგუფის სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან, როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, ჯგუფი ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის წილის მთლიანი თანხა ნაჩვენებია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების გარეთ და ის წარმოადგენს მოგებას ან ზარალს გადასახადით დაბეგვრის შემდეგ და არასაკონტროლო წილს მეკავშირე საწარმოს შვილობილ კომპანიებში.

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იგივე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც წარმოადგენილია ჯგუფის ანგარიშგებებში. საჭიროების შემთხვევაში კეთდება კორექტირებები სააღრიცხვო პოლიტიკების ჯგუფის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შემდეგ, ჯგუფი განსაზღვრავს საჭიროა თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება მის მეკავშირე საწარმოში არსებულ ინვესტიციაზე. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გაუფასურებულია. თუ არსებობს ამგვარი მტკიცებულება, ჯგუფი გაუფასურების ოდენობას ანგარიშობს მეკავშირე საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის განსხვავების სახით და შემდეგ ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში მეკავშირე საწარმოს მოგების წილში.

მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებას და აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის შემოსავლის სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

(iii) ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში და მეკავშირე საწარმოებში კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში

კომპანია შვილობილ კომპანიაში და მეკავშირე საწარმოები ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადახდილი ან გადასახდელი თანხის ოდენობას. კომპანია შვილობილი კომპანიისგან და მეკავშირე საწარმოსგან მიღებულ დივიდენდს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღიარებს ამ დივიდენდის გამოცხადებისას.

შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის გაუფასურების ტესტირება ხდება მე-3(ლ) შენიშვნაში აღწერილი პოლიტიკის მიხედვით.

(გ) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. ნორმალური საკრედიტო ვადაა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30-დან 90 დღემდე. შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც ჯგუფი მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. ჯგუფი განსაზღვრავს ამგვარ ოპერაციებში პრინციპალის სახით გამოდის თუ - აგენტის, კლიენტისთვის მისი დაპირების ხასიათიდან გამომდინარე. ჯგუფი არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. ჯგუფმა ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, გარდა აგენტის მომსახურებებისა, რადგან ის ტიპიურად აკონტროლებს საქონელს, მისი კლიენტზე გადაცემამდე.

შემოსავლები გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება დროის გასვლის შემდეგ გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით, რათა ჯგუფმა შეაფასოს მომსახურების სრულად შესრულების პროგრესი, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფის მიერ მისთვის შეთავაზებულ სარგებელს.

ჯგუფი განიხილავს არსებობს თუ არა ხელშეკრულებაში სხვა დაპირებებიც, რომლებიც განცალკევებულია შესასრულებელი მოვალეობისგან, რომელზეც უნდა გადანაწილდეს ოპერაციის ფასის ნაწილი. (მაგ. გარანტიები, კლიენტთა წახალისების ქულები და სხვ.). საქონლის გაყიდვის და მომსახურების გაწევის ოპერაციის ფასის განსაზღვრისას, ჯგუფი განიხილავს ცვლადი საზღაურების ეფექტებს.

(i) ცვალეზადი ანაზღაურება

როდესაც ხელშეკრულებით დაპირებული ანაზღაურება მოიცავს ცვალეზად თანხას, ჯგუფი აფასებს ანაზღაურების იმ ოდენობას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს იგი მომხმარებლისათვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ცვალეზადი ანაზღაურება განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი, რომ შემდგომში, ცვალეზად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის პრობლემის გადაჭრის დროს, დაგროვილი აღიარებული შემოსავლების სიდიდე მნიშვნელოვნად არ შემცირდება. სათადარიგო ნაწილების გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულება მომხმარებლებს აძლევს დაბრუნების და მოცულობის გამო ფასდაკლების უფლებას. შემოსავლებზე უფლებები და მოცულობის გამო ფასდაკლებები ცვლად ანაზღაურებებს წარმოშობს.

(ii) დაბრუნების უფლება

კონკრეტული ხელშეკრულებები კლიენტებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას. ჯგუფი დაუბრუნებელი საქონლის შესაფასებლად მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს იყენებს, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ახდენს ჯგუფის მიერ მისაღები ცვლადი საზღაურის პროგნოზირებას. ფასს 15-ის მოთხოვნები ცვლადი საზღაურის შეფასების შეზღუდვის შესახებ ასევე გამოიყენება ისეთი ცვლადი საზღაურის თანხის განსაზღვრად, რომელიც შესაძლოა შევიდეს ოპერაციის ფასში. დასაბრუნებელი საქონელი, რომელსაც ჯგუფი მიიღებს შემოსავლის ნაცვლად, აღიარდება დაბრუნებული ვალდებულების სახით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან (გაგრძელება)

(iii) მოცულობის გამო ფასდაკლება

ჯგუფი კონკრეტულ კლიენტებს სთავაზობს მოცულობის გამო რეტროსპექტულ ფასდაკლებას მას შემდეგ, რაც პერიოდის განმავლობაში შეძენილი პროდუქტების რაოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ნორმას. ფასდაკლებები გაიქვითება მომხმარებლის ვალდებულებების თანხით. მოსალოდნელი მომავალი ფასდაკლებების ცვლადი საზღაურის შესაფასებლად, ჯგუფი უმეტესად იყენებს რაოდენობრივ მეთოდს რამდენიმე მოცულობის ნორმის მქონე ხელშეკრულებებისთვის და მოსალოდნელი ფასის მეთოდს - ერთზე მეტი მოცულობის ნორმის მქონე ხელშეკრულებებისთვის. შერჩეული მეთოდი, რომელიც საუკეთესოდ ახდენს ცვლადი საზღაურის თანხის პროგნოზირებას, პირველ რიგში განპირობებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრული მოცულობის ნორმების რაოდენობით. ამის შემდეგ ჯგუფი იყენებს ცვლადი საზღაურის შეზღუდული შეფასებების მოთხოვნებს და დაბრუნების ვალდებულებას აღიარებს მოსალოდნელი მომავალი ფასდაკლებებისთვის.

(iv) მომხმარებელთა წამახალისებელი ქულების პროგრამა

2013 წლის სექტემბრის შემდეგ, ჯგუფში მოქმედებს წამახალისებელი ქულების პროგრამა, რომელიც კლიენტს ქულების დაგროვების შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც მომავალში შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქონლის უფასოდ მისაღებად. წამახალისებელი ქულები წარმოქმნის ცალკე შესასრულებელ მოვალეობას, რადგან ისინი მატერიალურ უფლებას ანიჭებს კლიენტს. ოპერაციის ფასის ნაწილი გადანაწილდება კლიენტისთვის მინიჭებულ წამახალისებელი ქულებზე შესაბამისი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის საფუძველზე და ქულების გახარჯვამდე აღიარდება სახელშეკრულებო ვალდებულების სახით. შემოსავალი აღიარდება კლიენტის მიერ წამახალისებელი ქულების გახარჯვისთანავე.

(i) საგარანტიო ვალდებულება

ტიპიურად ჯგუფი იძლევა გარანტიას დეფექტების გენერალურ რემონტზე და დაზიანებული ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაყიდული პროდუქტები შეესაბამებოდეს შეთანხმებულ სპეციფიკაციებს. მარწმუნებელი ტიპის გარანტიები აღირიცხება - ბასს 37-ის (ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) შესაბამისად.

(v) სათადარიგო ნაწილების და მათი გამოცვლის მომსახურების პაკეტებად გაყიდვა

ჯგუფი უზრუნველყოფს საკუთარ მაღაზიებში შეძენილი სათადარიგო ნაწილების გამოცვლისა და სარემონტო მომსახურებებს. ეს მომსახურებები ზოგჯერ კლიენტებზე ცალკე ან პაკეტებად იყიდება, სათადარიგო ნაწილების გაყიდვასთან ერთად.

გაწეული მომსახურებების პაკეტებად გაყიდვების ხელშეკრულებები ორ შესასრულებელ მოვალეობას მოიცავს, რადგან გაყიდული საქონლის გადაცემის და მომსახურების გაწევის დაპირება შესაძლოა იყოს გამორჩეული და ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი. შესაბამისად, ჯგუფი გარიგების ფასის განაწილებას ახდენს საქონლის და გაწეული მომსახურებების შესაბამისი განცალკევებული სარეალიზაციო ფასების საფუძველზე. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს კონკრეტულ მომენტში გაწეული მომსახურებებიდან და მოწყობილობის გაყიდვიდან, შესაბამისი განცალკევებული ფასის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი არის ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებული უფლება. თუ ჯგუფი კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებულ ანაზღაურებად. ჯგუფი არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო მოთხოვნა

სავაჭრო მოთხოვნა წარმოადგენს ჯგუფის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფს კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს ჯგუფის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

(დ) ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

- ▶ საპროცენტო შემოსავალი;
- ▶ საპროცენტო ხარჯი;
- ▶ საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- ▶ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული სხვა დანახარჯები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციამია, თუ წმინდა ზარალის.

სესხები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობას და წარმოებას აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რომელიც ამავდროულად მშობელი კომპანიის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფი იყენებს კონსოლიდაციის პირდაპირ მეთოდს და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაყიდვისას შემოსულობა ან ზარალი (რომელიც მოგებაში ან ზარალშია რეკლასიფიცირებული) ასახავს იმ თანხას, რომელიც წარმოიქმნება პირდაპირი მეთოდის გამოყენებიდან.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც უცხოურ ოპერაციებში ჯგუფის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც მოხდება მთლიანი თანხის მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაცია. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შესაბამისი აქტივების, ხარჯების ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველ აღიარებაზე სპოტ სავალუტო კურსის გამოყენების განსაზღვრად, ისეთი არაფულადი აქტივების ან არაფულადი აქტივებისა და არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, რომლებიც წინასწარ გადახდებს უკავშირდება, გარიგების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს საავანსო გადახდიდან წარმოშობილ არაფულად აქტივებს ან არაფულად ვალდებულებებს. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ჯგუფის კომპანიები

კონსოლიდაციისას უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციების ჩამოწერის შემთხვევაში, სხვა სრული შემოსავლის ამ კონკრეტულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებული კომპონენტის აღიარება ხდება მოგებასა ან ზარალში. როდესაც შიდაჯგუფურ ბალანსზე საკურსო სხვაობა წარმოიშობა, რომელიც არსებითად შეადგენს სამეურნეო სუბიექტის წმინდა ინვესტიციის ნაწილს საზღვარგარეთ წარმოებულ ოპერაციაში, მაშინ საკურსო სხვაობის აღიარება არ ხდება მოგებასა ან ზარალში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში. მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალის ცალკე კომპონენტზე, ამ საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციის ჩამოწერამდე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივებისა და მომსახურებების შესყიდვისას წარმოშობილი ბრუნვის გადასახადი არის დაუმრუნებადი საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა აისახება როგორც საგადასახადო დავალიანება (მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები), (მოგების გადასახადის გარდა), რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებებს სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების შექმნით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანად არის კლასიფიცირებული.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(თ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები. სათანადო ნაწილების და სხვა მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება სპეციფიური იდენტიფიცირების საფუძველზე.

(ი) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომისა და ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად; ერთეულების დემონტაჟის და ობიექტიდან გატანის ხარჯებს და იმ სამუშაო მოედნის აღდგენას, სადაც განთავსებულია ისინი, ასევე სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი. დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე აღირიცხება, შესაბამისი სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების შედარებით და მოგებაში ან ზარალში წმინდა ფორმით აღიარდება სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯის კატეგორიაში.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებას.

ცვეთა აღიარება მოგებაში ან ზარალში ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთა დაირიცხება იჯარის ყველაზე მოკლე ვადის და მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სანამ გონივრულ ფარგლებში არ გახდება აშკარა, რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის მასზე საკუთრების უფლებას მიიღებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

- | | |
|---|-------------------|
| ▶ შენობა-ნაგებობები | 30-დან 50 წლამდე; |
| ▶ მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 3-დან 10 წლამდე; |
| ▶ საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილები და სხვ. | 2-დან 10 წლამდე. |

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

(კ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისთვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც საღრიცხო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამისი ხარჯის კატეგორიაში. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა 6 -დან 15 წლამდეა.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. იმ თარიღში, როდესაც ხდება კონტროლის მიღება) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად ჯგუფის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და გაცემულ სესხებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-6 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე-10 შენიშვნა;
- ▶ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში - მე-4 შენიშვნა.

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სესხები

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებ ს ეხება.

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები - კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებებია კონტრაქტები, რომლებიც მოითხოვს გარანტიის მფლობელის ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო. ისეთი ფინანსური გარანტიის კონტრაქტები, რომლებიც შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც შემდგომ კორექტირდება გარანტიის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯებით. შემდგომში ვალდებულება ფასდება საანგარიშგებო თარიღში არსებული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებსა და დაგროვებითი ამორტიზაციით შემცირებულ აღიარებულ თანხას შორის უმაღლესი ოდენობით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

3. მნიშვნელოვანი საღირსეზო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაუფასურების დასადგენად აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად სახსრებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(ნ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებებში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(ო) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

(პ) ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაზრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაზრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაზრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაზრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

(ჟ) ანარიცხები

ზოგადი ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს განვლილი მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად განხორციელებადია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ჟ) ანარიცხები (გაგრძელება)

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

საგარანტიო ანარიცხები და დაკავშირებული აქტივი

ჯგუფი გასცემს გარანტიებს გენერალური რემონტის და დეფექტური ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, ასევე მწარმოებლის სპეციფიკაციების შეუსაბამო პროდუქტების გამოცვლაზე. ამ რწმუნებულების მსგავს გარანტიებთან დაკავშირებული ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც იყიდება პროდუქტი ან კლიენტს გაეწევა მომსახურება. თავდაპირველი აღიარება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. თავდაპირველად შეფასებულ გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები ყოველწლიურად გადაისინჯება.

ჯგუფი განცალკევებით აღიარებს გარანტიასთან დაკავშირებულ აქტივს, მწარმოებლისგან საგარანტიო ანაზღაურების უფლების აღრიცხვის მიზნით, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად განხორციელებადია.

(რ) იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შეთანხმებაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად იჯარის საწყისი თარიღით. იჯარა, რომელიც ჯგუფს გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა ჯგუფის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ჯგუფი, როგორც მემიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში

(ა) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს 15 - შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ჩაანაცვლებს ბასს 11-ს (*სამშენებლო ხელშეკრულებები*), ბასს 18-ს (*შემოსავალი*) და შესაბამის ინტერპრეტაციებს და შეზღუდული გამოწვევის სახით იყენებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ყველა შემოსავლებზე. ფასს 15 ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვის ხუთ-საფეხურიან მოდელს და მოითხოვს, რომ ამგვარი შემოსავლების აღიარება მოხდეს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ფასს 15 საწარმოებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ჯგუფმა მიიღო ფასს 15, მიღების სრულად რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით. თუმცა, ამ სტანდარტის მიღებას არ ჰქონია არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საქონლის გაყიდვა ცვლადი საზღაურის სანაცვლოდ

საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებები კლიენტებს არ აძლევს დაბრუნების უფლებას, მოცულობის გამო ფასდაკლებას ან ცვლებად ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სხვა ელემენტებს. ფასს 15-ის მიღებამდე, ჯგუფი აღიარებს საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს, მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით. თუ შემოსავალი სარწმუნოდ ვერ ფასდება, ჯგუფი გადაავადებს შემოსავლის აღიარებას გაურკვევლობის აღმოფხვრამდე. ფასს 15-ის საფუძველზე, შემოსავლებზე უფლებებმა და მოცულობის გამო ფასდაკლებებმა შესაძლოა ცვლადი საზღაურები წარმოშვას. თუმცა, ჯგუფმა 31 დეკემბრის დასაბრუნებელ საქონელზე დაბრუნების ვალდებულება არაარსებითად განსაზღვრა და მან არ ასახა მოცულობის გამო ფასდაკლების რეზერვი თითოეული საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით მოცულობის მიღწეული ნორმის ვადის გაცვლის შემდეგ.

წამახალისებელი ქულების პროგრამა

არსებული წამახალისებელი პროგრამის ფარგლებში, 31 დეკემბრის ვადა გასდის გაცემულ, მაგრამ გამოუყენებელ ქულებს. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღში ჯგუფი არ აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას გაცემულ, მაგრამ გამოუყენებელ ქულებზე.

სათადარიგო ნაწილების და მათი გამოცვლის მომსახურების პაკეტებად გაყიდვა

ფასს 15-ის მიღებამდე ჯგუფს უკვე ჰქონდა გადანაწილებული გარიგების ფასი სათადარიგო ნაწილების და მათი გამოცვლის მომსახურებების პაკეტებად გაყიდვის ინდივიდუალური შესასრულებელი მოვალეობების სახით. განაწილება განხორციელდა სამართლიანი ღირებულების შესაბამისი მეთოდის გამოყენებით. ფასს 15-ის მიღებას გავლენა არ ჰქონია ამ მიმართულებით ჯგუფის შემოსავლის აღიარებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*) 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და ამ თარიღის შემდეგ ყოველწლიური პერიოდებისთვის. ეს სტანდარტი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში (გაგრძელება)

(ა) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ჯგუფმა ფასს 9 რეტროსპექტულად გამოიყენა, თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვარს. ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება არ მოახდინოს შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი პერიოდისთვის, რადგან:

- ▶ შედარებადი ინფორმაცია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ განხილულია ბასს 39-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესაბამისად (მე-10, მე-11 და 13 ბ შენიშვნები);
- ▶ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის ცვლილება აღიარდება კაპიტალში ცვლილებების საბოლოო ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ამგვარი ცვლილების თანხები ჯგუფის და კომპანიისთვის შეადგენს 392 და 344 ლარს (შესაბამისად) და ისინი მხოლოდ სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს ეხება.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის ფარგლებში, სასესხო ფინანსური ინსტრუმენტები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კლასიფიკაცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება: კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული ბიზნეს-მოდელი და განსაზღვრება იმისა, ხომ არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტისთვის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები 'ძირითადი თანხის და პროცენტის ერთპიროვნულ გადახდებს' დაუფარავ ძირ თანხაზე.

ჯგუფის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღში 2018 წლის 1 იანვარს და ის ეფუძნებოდა აქტივების თავდაპირველი აღიარების მდგომარეობით არსებულ ფაქტებს და ვითარებებს.

ფასს 9-ის კლასიფიცირების და შეფასების მოთხოვნებს არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფზე. ახალი მოთხოვნების საფუძველზე, ჯგუფი კვლავ ახდენს მისი ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებას.

გაუფასურება

ფასს 9-ის მიღებამ შეცვალა ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა, ბასს) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს 9 ჯგუფისგან მოითხოვს აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების მიღებამ 2018 წლის 1 იანვარს გამოიწვია სასესხო ფინანსური აქტივების რეზერვის 392 ლარით შემცირება ჯგუფისთვის და 344 ლარით კლება კომპანიისთვის.

(ბ) სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონიათ ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ფასიკ 22-ის ინტერპრეტაცია „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“;
- ▶ ცვლილებები ბასს 40-ში „საინვესტიციო ქონების გადატანა“;
- ▶ ცვლილებები ფასს 2-ში „აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება“;
- ▶ ცვლილებები ფასს 4-ში „ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4-თან „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ერთად“;
- ▶ ბასს 28-ის ცვლილება „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - განმარტება, რომ ინვესტიციის ობიექტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება მოგებაში ან ზარალში ასახვით თითოეული ინვესტიციის შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა მოხდეს;
- ▶ ფასს 1-ის ცვლილება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“- მოკლევადიანი გამონაკლისების გაუქმება მათთვის, ვინც ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს პირველად იყენებს.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ის ჩაანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“; ფასიკ 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“; იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და ის მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. ზოგადად მოიჯარე საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მიიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის საფუძველზე ხდებოდა.

ჯგუფი გეგმავს ფასს 16-ის რეტროსპექტულად მიღებას, ყველა წინასაანგარიშგებო პერიოდისთვის. ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას სტანდარტი გამოიყენოს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს 17 და ფასიკ 4-ის გამოყენებით. შესაბამისად, ჯგუფი სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის გამოყენებით.

საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფმა ჩაატარა ფასს 16-ის გავლენის წინასწარი ანალიზი და შეაფასა, რომ 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოყენების უფლების მქონე აქტივები გაიზრდება 16,800 ლარით და შესაბამისი ვალდებულებებიც იგივე თანხით გაიზრდება.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებებში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სათადარიგო ნაწილების და მათი გამოცვლის მომსახურებების პაკეტებად გაყიდვასთან დაკავშირებით შესასრულებელი ვალდებულებების განსაზღვრა

ჯგუფი გასწევს ნაწილების გამოცვლის მომსახურებებს, რომლებიც იყიდება პაკეტებად, კლიენტებზე საქონლის გაყიდვასთან ერთად. გაწეული მომსახურებები მომავალში მომსახურებების გადაცემის დაპირებას და ჯგუფსა და კლიენტს შორის შეთანხმებული გაცვლა-გამოცვლის მომსახურების ნაწილს წარმოადგენენ.

ჯგუფმა განსაზღვრა, რომ საქონელი და მომსახურებები შესაძლოა განცალკევებადი იყოს. ფაქტი, რომ ჯგუფი საქონლისა და მომსახურების გასაყიდ ფასებს ცალ-ცალკე აღრიცხავს საფუძველზე იმაზე მეტყველებს, რომ კლიენტმა შესაძლოა ორივედან მიიღოს სარგებელი. შესაბამისად, ჯგუფმა გარიგების ფასის ნაწილი გადაანაწილა საქონლის გაყიდვაზე და მომსახურებების გაწევაზე განცალკევებული ფასები მიხედვით. ჯგუფი ხელშეკრულების დაწყებისას თითოეული განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისათვის განსაზღვრავს განცალკევებულ გასაყიდ ფასს, რომელიც საფუძვლად უდევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებას და გარიგების ფასს ანაწილებს ამ განცალკევებული გასაყიდი ფასების პროპორციულად.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები, ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან ვითარებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

ჯგუფი იყენებს რეზერვების მატრიცას სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე.

რეზერვების მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება ჯგუფის განვლილ ხილულ გადაუხდელობის განაკვეთს. თუმცა ჯგუფი აღნიშნულ ინფორმაციას ამატებს სამომავლოდ მოსალოდნელ გადახდების ისტორიას. შესაბამისად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის სტატისტიკა დაკორექტირებულია აღნიშნული თარიღის შემდგომ დაბრუნებული თანხების ისტორიით.

წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთების, საპროგნოზო ეკონომიკური პირობების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანაფარდობის დადგენა მნიშვნელოვანი შეფასებაა. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა მგრძნობიარეა ვითარებების და საპროგნოზო ეკონომიკური პირობების ცვლილებების მიმართ. ჯგუფის საკრედიტო ზარალის განვლილი გამოცდილება და საპროგნოზო ეკონომიკური პირობები შესაძლოა არ იყოს მომავალში კლიენტის ფაქტიური დეფოლტირების განმსაზღვრელი. ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ჯგუფის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

საგარანტიო ვალდებულება და აქტივები

ანარიცხი აღიარდება წლის განმავლობაში გაყიდულ პროდუქტებზე მოსალოდნელი საგარანტიო მოთხოვნებისთვის, ნაწილების შეკეთებისა და გამოცვლის განვლილი გამოცდილების საფუძველზე. ანარიცხი წარმოადგენს მოცულობების დონის, პროდუქციის ასორტიმენტის და შეკეთებისა და გამოცვლის თვითღირებულების წარსული გამოცდილების საფუძველზე განხორციელებულ შეფასებას და ის საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით გაყიდულ საქონელზე ჯგუფის ვალდებულების შესასრულებლად საჭირო თანხების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას. წარმოადგენს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მის ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარა საგარანტიო ანარიცხი 3,636 ლარის ოდენობით (კომპანია: 160 ლარი). ჯგუფმა ასევე ასახა შესაბამისი აქტივი 2,015 ლარის (კომპანია: 160 ლარი) ოდენობით, შესაბამისი მწარმოებლებისგან ამგვარი საგარანტიო ვალდებულებების ანაზღაურებაზე მისი სახელშეკრულებო უფლების აღიარების მიზნით.

7. ძირითადი საშუალებები

მოძრაობები ჯგუფის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

ჯგუფი	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვი- ლობა	საოფისე აღჭურვილობა და ავტომო- ბილები	სხვა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება	57,642	11,484	9,881	3,796	729	83,532
დაგროვილი ცვეთა	(5,027)	(7,866)	(6,232)	(2,105)	–	(21,230)
საბალანსო ღირებულება						
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	52,615	3,618	3,649	1,691	729	62,302
შესყიდვები	5,120	1,192	2,327	3,308	1,628	13,575
გადატანები	(11)	499	620	(1,108)	–	–
გასვლები	(46)	(114)	(990)	(85)	–	(1,235)
ცვეთის ხარჯი	(903)	(1,139)	(1,176)	(778)	–	(3,996)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	5	89	368	58	–	520
საბალანსო ღირებულება	56,780	4,145	4,798	3,086	2,357	71,166
2017 წლის 31 დეკემბრისთვის						
თვითღირებულება	62,705	13,061	11,838	5,911	2,357	95,872
დაგროვილი ცვეთა	(5,925)	(8,916)	(7,040)	(2,825)	–	(24,706)
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	56,780	4,145	4,798	3,086	2,357	71,166
შესყიდვები	1,167	1,083	2,659	4,601	7,597	17,107
გადატანები	108	680	806	(1,594)	–	–
გასვლები	(738)	(118)	(1,657)	(181)	–	(2,694)
ცვეთის ხარჯი	(939)	(1,304)	(1,458)	(1,131)	–	(4,832)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	11	157	554	39	–	761
საბალანსო ღირებულება	56,389	4,643	5,702	4,820	9,954	81,508
2018 წლის 31 დეკემბრისთვის						
თვითღირებულება	63,242	14,706	13,646	8,737	9,954	110,285
დაგროვილი ცვეთა	(6,853)	(10,063)	(7,944)	(3,917)	–	(28,777)
საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	56,389	4,643	5,702	4,820	9,954	81,508

2018 წლის 31 დეკემბერს ჯგუფის და კომპანიის მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა საბალანსო ღირებულებით 61,032 და 53,038 ლარი (2017 წ.: 60,925 და 52,619 ლარი) ოდენობით, შესაბამისად, წარმოადგენს ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას (იხილეთ 23-ე შენიშვნა).

7. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მოძრაობები კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

კომპანია	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვი- ლობა	საოფისე აღჭურვილობა და ავტომო- ბილები	სხვა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება	49,314	9,387	7,844	3,544	714	70,803
დაგროვილი ცვეთა	(4,032)	(7,019)	(5,381)	(1,855)	–	(18,287)
საბალანსო ღირებულება						
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	45,282	2,368	2,463	1,689	714	52,516
შესყიდვები	5,005	1,136	2,056	2,519	1,628	12,344
გადატანები	(11)	499	620	(1,108)	–	–
გასვლები	(46)	(112)	(609)	(85)	–	(852)
ცვეთის ხარჯი	(740)	(855)	(894)	(545)	–	(3,034)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	5	88	179	58	–	330
საბალანსო ღირებულება	49,495	3,124	3,815	2,528	2,342	61,304
2017 წლის 31 დეკემბრისთვის						
თვითღირებულება	54,262	10,910	9,911	4,870	2,342	82,295
დაგროვილი ცვეთა	(4,767)	(7,786)	(6,096)	(2,342)	–	(20,991)
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	49,495	3,124	3,815	2,528	2,342	61,304
შესყიდვები	1,136	1,021	2,038	4,378	7,597	16,170
გადატანები	108	680	806	(1,594)	–	–
გასვლები	(738)	(94)	(1,284)	(181)	–	(2,297)
ცვეთის ხარჯი	(775)	(1,016)	(1,160)	(682)	–	(3,633)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	11	86	502	39	–	638
საბალანსო ღირებულება	49,237	3,801	4,717	4,488	9,939	72,182
2018 წლის 31 დეკემბრისთვის						
თვითღირებულება	54,768	12,517	11,471	7,473	9,939	96,168
დაგროვილი ცვეთა	(5,531)	(8,716)	(6,754)	(2,985)	–	(23,986)
საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	49,237	3,801	4,717	4,488	9,939	72,182

8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ჯგუფი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	267	254
შედეგების წილი	(22)	58
მიღებული დივიდენდები	(42)	(45)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	203	267

8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოების შეფასებული ფინანსური ინფორმაცია, მათ შორის მთლიანი აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და მოგება ან ზარალი, მოიცავდა შემდეგს:

სახელწოდება	ხასიათი	სულ სულ აქტივები	სულ ვალდებ- ბულებები	შემოსა- ვალი	წმინდა მოგება / (ზარალი)	ფლობილი პროცენტი	თვითღირე -ბულებით
2017 წლის 31 დეკემბრის							
შპს „თეგეტა მოტორსი მესხეთი“	კომერციული ფართის იჯარა	557	(172)	147	106	34%	96
შპს „DSD თეგეტა“	კომერციული ფართის იჯარა	962	(497)	184	70	25%	109
შპს „თეგეტა და L“	სათადარიგო ნაწილების გაყიდვა	275	(143)	381	27	15%	1
2018 წლის 31 დეკემბრის							
შპს „თეგეტა მოტორსი მესხეთი“	კომერციული ფართის იჯარა	557	(150)	147	(110)	34%	96
შპს „DSD თეგეტა“	კომერციული ფართის იჯარა	1,254	(1,030)	191	58	25%	109
შპს „აზტექი და თეგეტა მოტორსი“	სათადარიგო ნაწილების გაყიდვა	8,796	(9,655)	15,752	(374)	20%	–
შპს „თეგეტა და L“	სათადარიგო ნაწილების გაყიდვა	219	(170)	521	9	15%	1

9. მარაგები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გადასაყიდად გამიზნული საქონელი (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით)	59,367	51,369	47,014	40,730
გადაცემის პროცესში მყოფი საქონელი (თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით)	28,475	16,327	15,625	8,886
სხვა (თვითღირებულებით)	3,545	2,487	3,112	2,096
სულ მარაგები	91,387	70,183	65,751	51,712

ჯგუფის და კომპანიის მარაგები ჩამოიწერა მათ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე და აღირიცხა ხარჯად გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში 1,108 და 856 ლარის (2017 წ.: 498 და 498 ლარი) ოდენობით, შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბრის ჯგუფის და კომპანიის მარაგები, 91,387 და 65,751 ლარის (2017 წ.: 70,183 და 51,712 ლარი) ოდენობით (შესაბამისად), დაგირავებული იყო მესამე მხარის სასარგებლოდ სესხების უზრუნველყოფის მიზნით (იხილეთ 23-ე შენიშვნა).

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	25,243	21,003	16,209	13,450
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოებიდან	1,682	121	1,682	121
მოთხოვნები შვილობილი კომპანიებიდან	–	–	473	161
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(615)	(776)	(307)	(508)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	26,310	20,348	18,057	13,224
სხვა მოთხოვნები	603	451	712	452
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26,913	20,799	18,769	13,676

ანალიზი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მიხედვით ჯგუფისა და კომპანიისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის შემდეგი:

ჯგუფი	მიმდინარე	31 დღეზე ნაკლები	31-დან 93 დღემდე	93-დან 186 დღემდე	186-დან 341 დღემდე	341 დღეზე მეტი	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	9,635	8,345	3,457	2,747	1,929	1,622	27,735
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	58	36	45	73	109	294	615
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.60%	0.43%	1.31%	2.65%	5.64%	18.11%	2.22%

კომპანია	მიმდინარე	31 დღეზე ნაკლები	31-დან 93 დღემდე	93-დან 186 დღემდე	186-დან 341 დღემდე	341 დღეზე მეტი	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	9,039	4,551	2,542	1,237	820	1,177	19,366
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	52	32	41	36	52	94	307
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.57%	0.70%	1.61%	2.92%	6.39%	8.00%	1.59%

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში შესული კრედიტის ხარისხის მიხედვით ანალიზი ასეთია:

ჯგუფი	მიმდინარე	31 დღეზე ნაკლები	31-დან 93 დღემდე	93-დან 186 დღემდე	186-დან 341 დღემდე	341 დღეზე მეტი	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მოთხოვნი ღირებულება	6,872	8,695	3,351	748	1,041	869	21,575
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	1	1	4	21	113	244	384
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.02%	0.02%	0.13%	2.76%	10.85%	20.86%	1.49%

კომპანია	მიმდინარე	31 დღეზე ნაკლები	31-დან 93 დღემდე	93-დან 186 დღემდე	186-დან 341 დღემდე	341 დღეზე მეტი	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მოთხოვნი ღირებულება	7,388	3,684	1,346	504	635	624	14,182
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	1	1	3	17	39	104	165
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.01%	0.02%	0.19%	3.42%	6.19%	16.61%	1.16%

მოდრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხში შემდეგია:

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 1 იანვარს	776	1,357	508	733
ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის მიღების ეფექტი (მე-4 შენიშვნა)	(392)	–	(344)	–
წლის ცვლილება / (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადრე აღიარებული ანარიცხის აღდგენა) (მე-18 შენიშვნა)	322	(581)	213	(225)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოყენება	(91)	–	(70)	–
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	615	776	307	508

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	20,511	10,507	2,083	1,760
ფული გზაში	651	49	513	49
ნაღდი ფული სალაროში	255	3,089	241	3,076
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები	6	257	–	–
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,423	13,902	2,837	4,885

ჯგუფი ფულისა და ფულის ეკვივალენტების ძირითად ნაშთებს ფლობს ქართულ კომერციულ ბანკში, რომელსაც „Standard and Poor's“-ის და „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული აქვთ BB- რეიტინგი.

მიმდინარე ანგარიშებს ერიცხებოდა წლიური 1%-7%. 2018 წელს საპროცენტო შემოსავალმა ანაზღაურა ჯგუფისა და კომპანიისთვის 2018 წლის განმავლობაში შეადგინა 198 და 114 ლარი (2017 წ.: 97 და 36 ლარი), შესაბამისად.

12. სესხები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები - გრძელვადიანი წილი	60,995	64,954	43,672	45,353
გრძელვადიანი ვალდებულებები	60,995	64,954	43,672	45,353
მიღებული სესხები - მიმდინარე წილი	41,059	30,373	28,356	17,189
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	3	111	3	111
მიმდინარე ვალდებულებები	41,062	30,484	28,359	17,300
სულ სესხები	102,057	95,438	72,031	62,653

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მიღებული დაუფარავი სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

თავდაპირველი ვალუტა	ხელშეკრულების თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედიტორი	ჯგუფი	კომპანია
აშშ დოლარი	2018	2024	ქართული კომერციული ბანკი	11,358	11,358
ევრო	2018	2024	ქართული კომერციული ბანკი	22,442	22,442
ლარი	2018	2024	ქართული კომერციული ბანკი	36,022	36,022
აშშ დოლარი	2018	2025	ქართული კომერციული ბანკი	26,113	–
ევრო	2018	2019	ქართული კომერციული ბანკი	3,183	–
იაპონური იენი	2018	2019	ქართული კომერციული ბანკი	1,644	–
ბრიტანული გირვანქა			ქართული კომერციული ბანკი		
სტერლინგი	2018	2019		1,292	–
ლარი	2018	2019	შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	–	551
ევრო	2018	2019	შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	–	1,655
				102,054	72,028

12. სესხები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში გაანალიზებულია ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული დაუფარავი სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

თავდაპირველი ვალუტა	ხელშეკრულების/ ცვლილების თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედიტორი	ჯგუფი	კომპანია
აშშ დოლარი	2013	2024	ქართული კომერციული ბანკი	62,542	62,542
აშშ დოლარი	2017	2018	ქართული კომერციული ბანკი	26,691	–
ბრიტანული გირვანქა	2017	2018	ქართული კომერციული ბანკი		
სტერლინგი				3,461	–
ევრო	2017	2018	ქართული კომერციული ბანკი	1,804	–
იაპონური იენი	2017	2018	ქართული კომერციული ბანკი	829	–
				95,327	62,542

ინფორმაცია საბანკო სესხებისთვის უზრუნველყოფის საგნის სახით დაგირავებული აქტივების შესახებ და განხილვები ვალდებულებებთან შესაბამისობის თაობაზე მოცემულია 23-ე შენიშვნაში.

სესხების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

ჯგუფი	სულ
2017 წლის 1 იანვარს	89,844
სესხების აღება	161,016
საპროცენტო ხარჯი	8,919
გადახდილი პროცენტი	(9,098)
სესხების დაფარვა	(151,733)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო	(3,510)
2017 წლის 31 დეკემბერს	95,438
სესხების აღება	156,256
საპროცენტო ხარჯი	10,268
გადახდილი პროცენტი	(10,125)
სესხების დაფარვა	(151,091)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	1,311
2018 წლის 31 დეკემბერს	102,057
კომპანია	სულ
2017 წლის 1 იანვარს	54,502
სესხების აღება	129,729
საპროცენტო ხარჯი	5,769
გადახდილი პროცენტი	(5,822)
სესხების დაფარვა	(118,417)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა, ნეტო	(3,108)
2017 წლის 31 დეკემბერს	62,653
სესხების აღება	112,007
საპროცენტო ხარჯი	7,276
გადახდილი პროცენტი	(6,972)
სესხების დაფარვა	(103,277)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	344
2018 წლის 31 დეკემბერს	72,031

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	25,050	25,399	21,177	20,599
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	1,892	2,653	1,870	2,794
ვალდებულება მეკავშირე საწარმოების მიმართ	25	18	25	18
გადასახდელი დივიდენდები	14	772	14	772
ვალდებულება შვილობილ კომპანიების მიმართ	–	–	–	465
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,981	28,842	23,086	24,648
დარიცხული სახელფასო ვალდებულება	3,802	2,601	3,006	2,136
სხვა	392	408	182	196
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,175	31,851	26,274	26,980

14. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	405,779	328,183	216,324	188,082
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	22,205	19,164	18,622	16,524
სულ შემოსავალი	427,984	347,347	234,946	204,606

ჯგუფმა და კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	26,310	20,348	18,057	13,224
სახელშეკრულებო ვალდებულებები - გრძელვადიანი წილი	588	2,162	–	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მიმდინარე წილი	27,423	6,478	1,255	1,895

დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობოდ ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და ის წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ კლიენტებს.

27,423 და 1,255 ლარის ოდენობით ჯგუფის და კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება მოსალოდნელია 2019 წლის შემოსავლის სახით, რომელიც უკავშირდება საანგარიშგებო თარიღში დაუკმაყოფილებელ შესასრულებელ ვალდებულებებს. 2018 წელს, ჯგუფმა და კომპანიამ შემოსავლის სახით აღიარა 5,176 და 1,630 ლარი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღრიცხული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალური ავტობუსების მიწოდებისთვის შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისგან“ მიღებულ ავანსის თანხებს 22,500 ლარის ოდენობით.

15. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	ჯგუფი		კომპანია	
	2018	2017	2018	2017
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(330,155)	(261,625)	(160,562)	(138,213)
გაწეული მომსახურების ღირებულება:				
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(13,136)	(10,955)	(11,375)	(9,726)
ცვეთის ხარჯი	(2,058)	(1,658)	(1,470)	(1,291)
შესყიდული მომსახურებები	(1,013)	(1,344)	(943)	(854)
გამოყენებული სათადარიგო მასალები	(910)	(1,069)	(590)	(540)
სხვა დანახარჯები	(608)	(504)	(497)	(418)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(347,880)	(277,155)	(175,437)	(151,042)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018	2017	2018	2017
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(20,524)	(20,062)	(17,247)	(17,226)
საიჯარო ხარჯი	(5,124)	(3,642)	(5,046)	(3,705)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,280)	(2,732)	(2,658)	(2,128)
საოფისე ხარჯი	(2,060)	(1,617)	(1,825)	(1,385)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1,955)	(1,956)	(1,404)	(1,426)
პროფესიული მომსახურება	(1,659)	(1,484)	(1,507)	(1,363)
კომუნალური მომსახურება	(1,250)	(1,108)	(1,076)	(956)
სამივლინებო ხარჯი	(834)	(687)	(578)	(534)
კომუნიკაციის ხარჯები	(564)	(399)	(515)	(369)
დაცვის ხარჯი	(417)	(379)	(368)	(341)
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	(396)	(524)	(377)	(422)
საბანკო ხარჯები	(325)	(270)	(286)	(236)
საწვავის ხარჯი	(279)	(222)	(273)	(219)
სხვა ხარჯები	(707)	(531)	(546)	(429)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(39,374)	(35,613)	(33,706)	(30,739)

თანამშრომლებზე გაწეული მთლიანი დანახარჯი გადანაწილდება შემდეგი სახით: გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება, გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები და შეადგენს 37,049 ლარს (2017 წ.: 31,017 ლარი) ჯგუფისთვის, ხოლო 32,011 ლარს (2017 წ.: 26,952 ლარი) - კომპანიისთვის.

17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
	2018	2017	2018	2017
შემოსულობა საგარანტიო რეზერვის გადაფასებიდან	467	455	–	–
შემოსავალი იჯარიდან	227	74	512	381
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	165	55	168	26
სადაზღვეო ზარალის ანაზღაურება	134	98	129	80
შემოსავალი სასაწყობე მომსახურებიდან	110	80	102	74
შემოსავალი ჯარიმებიდან	85	24	17	23
აგენტის მომსახურების გასამრჯელო (ა)	13	1,695	–	–
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ამობრუნება	–	581	–	225
მარაგების ჩამოწერის ამობრუნება	–	485	–	–
შემოსავალი დივიდენდებიდან	–	–	2,042	45
ინვესტიციებზე გაუფასურების ჩამოწერის აღდგენა	–	–	–	2,437
სხვა	1,275	1,501	974	954
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	2,476	5,048	3,944	4,245

ა) ჯგუფმა მოიგო თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი, „MAN Truck and Bus AG“-ს (შემდგომში „MAN“) 143 ახალი ავტობუსების გაყიდვაში აგენტად მოქმედების შესახებ. აგენტის მომსახურების გასამრჯელო მოიცავს მიწოდებული ავტობუსების საკომისიო საფასურს.

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018	2017	2018	2017
მარაგების ჩამოფასება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	(1,108)	(498)	(856)	(498)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის (მე-10 შენიშვნა)	(322)	–	(213)	–
საურავები, ჯარიმები და გადასახადებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები	(235)	(157)	(103)	(150)
ტენდერში მონაწილეობის ხარჯები	(84)	(50)	(80)	(49)
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები	(2)	(158)	(2)	(158)
გაცემული სესხების ანარიცხი	–	(175)	–	(175)
სხვა	(970)	(633)	(556)	(541)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,721)	(1,671)	(1,810)	(1,571)

19. ფინანსური ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2018	2017	2018	2017
საპროცენტო ხარჯები (მე-12 შენიშვნა)	(9,672)	(8,919)	(6,680)	(5,769)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ნეტო ზარალი	(2,291)	–	(2,482)	–
საკომისიო ხარჯები	(311)	(371)	(77)	(226)
სულ ფინანსური ხარჯები	(12,274)	(9,290)	(9,239)	(5,995)

20. ფინანსური შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
	2018	2017	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	372	240	290	232
საკურსო სხვაობიდან მიღებული ნეტო შემოსულობა	–	2,971	–	2,726
სულ ფინანსური შემოსავალი	372	3,211	290	2,958

21. კაპიტალი

2018 წელს, პარტნიორებმა გაზარდეს კომპანიის საწესდებო კაპიტალი 14,000 ლარის ოდენობით ფულადი შენატანის სახით.

2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები მისი არსებული პარტნიორებისთვის 3,000 ლარის (2017 წ.: 4,000 ლარი) ოდენობით.

22. მოგების გადასახადის ხარჯი

	ჯგუფი		კომპანია	
	2018	2017	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	(638)	(608)	(531)	(562)
მოგების გადასახადი წლის განმავლობაში	(638)	(608)	(531)	(562)

მიმდინარე მოგების გადასახადი წარმოადგენს გადასახადს კომპანიის პარტნიორებისთვის გადახდილ დივიდენდებზე.

23. პირობითი ვალდებულებები**სასამართლოში საქმის წარმოება**

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიმართოს სარჩელები. საკუთარი შეფასების და შიდა და გარე პროფესიონალური კონსულტაციის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

23. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

დაგირავებული აქტივები

ქვემოთ მოცემული აქტივები დაგირავებული იყო ბანკებისგან აღებული სესხების უზრუნველყოფისთვის (მე-12 შენიშვნა):

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიწა და შენობა-ნაგებობები (მე-7 და მე-12 შენიშვნები)	56,389	56,780	49,237	49,495
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა (მე-7 და მე-12 შენიშვნა)	4,643	4,145	3,801	3,124
მარაგები (მე-9 და მე-12 შენიშვნა)	91,387	70,183	65,751	51,712

თავდებობები

კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები აფორმებენ თავდებობის ხელშეკრულებას ბანკების წინაშე ჯგუფის საწარმოების ვალდებულებების გარანტირების მიზნით. თავდებობა გამოუთხოვადი რწმუნებულებაა იმისა, რომ ჯგუფი განახორციელებს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ მისი რომელიმე შვილობილი კომპანია (ან „კომპანია“) ვერ დააკმაყოფილებს ვალდებულებებს. ჯგუფი არ კისრულობს მესამე პირის თავდებობას.

შემდეგი თავდებობები გაიცა ათასი აშშ დოლარის ოდენობით:

ემიტენტი	მოსარგებლე (ბენეფიციარი) – დაკავშირებული მხარეები	2018 წლის 31 დეკემბერი		2017 წლის 31 დეკემბერი	
		მაქსიმალური რისკი	რისკს დაქვემდებ- ბარებული ოდენობები	მაქსიმალური რისკი	რისკს დაქვემდებ- ბარებული ოდენობები
შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	კომპანია	50,000		50,000	
შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ“		50,000		50,000	24,074
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“		50,000	26,745	50,000	
შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“		50,000		-	-
კომპანია	შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“	10,500	8,870	10,500	9,318
კომპანია	შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“	5,200	826	5,200	800
კომპანია	შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	1,300	1,300	1,300	973
კომპანია	შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია“	1,200	1,200	1,200	282
შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიპმენტი“	შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	50,000		50,000	
შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ“		50,000	1,526	50,000	973
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“			826		800
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“		20,000	1,526	20,000	973
შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“	10,000	826	10,000	800
შპს „თეგეტა თრაქ & ბას“	შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ“	1,000	743	1,000	1,483

23. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდებობები (გაგრძელება)

თავდებობა წარმოადგენს სასესხო ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და, შესაბამისად, ის ცალკე არ აღირიცხება.

31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარა მისი შვილობილი კომპანიების სასარგებლოდ გაცემული თავდებობების რეალური ღირებულება 421 ლარის ოდენობით. კომპანიამ იგივე ოდენობით გაზარდა ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში.

შესაბამისობა სახელშეკრულებო ვალდებულებებთან

ჯგუფი კონკრეტული გარანტიების საგანს წარმოადგენს, რომლებიც უმეტესად მის საბანკო სესხებს უკავშირდება (იხილეთ მე-12 შენიშვნა). ამ პირობების დაუკმაყოფილებლობას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოყვეს ჯგუფისთვის, მათ შორის სესხების თვითღირებულების ზრდა და დეფოლტის შემთხვევის გამოცხადება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი აკმაყოფილებდა ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებას, გარდა ქართული კომერციული ბანკის სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული კონკრეტული ფინანსური ვალდებულებისა, რომლისგანაც ჯგუფს მიღებული აქვს ნებართვის წერილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები

2018 წელს კომპანიის შვილობილმა კომპანიამ შპს „თეგეტა თრაქ & ბას“-მა მოიგო შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ მუნიციპალური ავტობუსების მიწოდების ტენდერი. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ნაკისრი ჰქონდა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ 2019 წლის განმავლობაში ავტობუსების მიწოდების სატენდერო ვალდებულება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისგან“ მიღებულ თანხებს 13,666 ლარის ოდენობით, რომელიც 2019 წლის პირველ კვარტალში გადაუხადეს ავტობუსის მომწოდებელს.

24. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისგან და ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფს აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფინანსური დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და გაცემული სესხები.

ჯგუფი გასწევს საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკებს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებდა. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაზღაურებებიდან გამომდინარე.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ჯგუფის და კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე აქტივების კლასების მიხედვით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა)	27,528	21,575	19,076	14,184
გაცემული სესხები	28	1,488	7	1,482
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-11 შენიშვნა)	21,423	13,902	2,837	4,885
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	48,979	36,965	21,920	20,551

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაგენტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მისაღები დავალიანების ვადების სისტემატიურ ანალიზს. კონტრაგენტის ლიმიტები დადგინდა საკრედიტო პირობების გამოყენებით. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

ჯგუფმა შეაფასა კლიენტების საკრედიტო რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკები, პროცედურები და კონტროლის მექანიზმები. კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი საკრედიტო ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები.

გაუფასურების ანალიზი მსხვილი კლიენტებისთვის ხდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებელი რეზერვების მატრიცის გამოყენებით, ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე. დაანგარიშება ასახავს ვარაუდზე დაფუძნებულ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი. ზოგადად, სავაჭრო მოთხოვნა ჩამოიწერება, თუ ისინი ერთ წელზე მეტი პერიოდით არის ვადაგადაცილებული და არ წარმოადგენენ სამართალგამოყენების საგანს. ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფის საგნებს ან აკრედიტივებს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს დაუფარავი სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზს და ვადაგადაცილებულ ნაშთებს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს ვადიანობის შესახებ და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა განმარტებითი ინფორმაციის მე-10 შენიშვნაში წარმოდგენას.

მიმდინარე ანგარიშებზე და მოკლევადიან ანაზრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაზრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნების სტატუსიც.

ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობით კერძო და იურიდიულ პირ მომხმარებლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო მოთხოვნების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში უკვე აღრიცხული ანარიცხების მიღმა.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკები წარმოიშობება (ა) უცხოური ვალუტის და (ბ) პროცენტიანი ვალდებულებების ღია პოზიციებიდან, რომლებიც ბაზარზე ზოგად და სპეციფიურ მოძრაობას ექვემდებარება. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკების მიმართ, რომლებიც ქვემოთ არის განსაზღვრული, ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, ყველა სხვა კოეფიციენტის მუდმივ დონეზე შენარჩუნებით. პრაქტიკაში ეს სავარაუდო არ არის და რამდენიმე კოეფიციენტის ცვლილება შესაძლოა უკავშირდებოდეს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ან უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებს.

სავალუტო რისკი

ჯგუფი საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის და სესხების ვალუტებს და ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტებს შორის. ჯგუფის კომპანიების სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესწილად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო, ბრიტანული გირვანქა-სტერლინგი და იაპონური იენი. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის და კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2018 წლის 31 დეკემბერი			2017 წლის 31 დეკემბერი		
	ფულად- საკრედიტო ფინანსური აქტივები	ფულად- საკრედიტო ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულად- საკრედიტო ფინანსური აქტივები	ფულად- საკრედიტო ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ჯგუფი						
აშშ დოლარი	6,503	(51,866)	(45,363)	7,664	(101,592)	(93,928)
ევრო	16,652	(31,027)	(14,375)	6,118	(7,822)	(1,704)

	2018 წლის 31 დეკემბერი			2017 წლის 31 დეკემბერი		
	ფულად- საკრედიტო ფინანსური აქტივები	ფულად- საკრედიტო ფინანსური ვალდებუ- ლებები	ნეტო პოზიცია	ფულად- საკრედიტო ფინანსური აქტივები	ფულად- საკრედიტო ფინანსური ვალდებუ- ლებები	ნეტო პოზიცია
კომპანია						
აშშ დოლარი	2,573	(25,716)	(23,143)	1,563	(74,157)	(72,594)
ევრო	1,244	(28,905)	(27,661)	961	(5,555)	(4,594)

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა, სავალუტო კურსის გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებების მიმართ, ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო კომპანია ყველა სხვა ცვლადს მუდმივ პოზიციაში შეინარჩუნებს:

	ჯგუფი	კომპანია
	2018	2018
	გავლენა	გავლენა
	მოგებაზე ან	მოგებაზე ან
	ზარალზე	ზარალზე
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(4,536)	(2,314)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	4,536	2,314
ევროს 10%-იანი გამყარება	(1,438)	(2,766)
ევროს 10%-იანი გაუფასურება	1,438	2,766

ჯგუფის და კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ არის წარმოდგენილი მნიშვნელობის წლის განმავლობაში ტიპური დაქვემდებარებისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის და კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკებზე. ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებაზე, რომლებიც კატეგორიულად არის დაყოფილი, სახელშეკრულებო პროცენტის, გადაფასების და დაფარვის თარიღებიდან უახლესის მიხედვით.

	ჯგუფი		კომპანია	
	2018 წლის	2017 წლის	2018 წლის	2017 წლის
	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები				
გაცემული სესხები	28	1,488	7	1,482
მიღებული სესხები	(2,098)	(8,720)	(445)	(249)
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები				
მიღებული სესხები	(99,959)	(86,718)	(71,586)	(62,404)

საპროცენტო განაკვეთში 100 ერთეულით ცვლილება, საანგარიშგებო თარიღში მოგება-ზარალის მხოლოდ 1,000 ლარით შეცვლას განაპირობებს. ეს ანალიზი უშვებს, რომ სხვა ყველა ცვლადი, კონკრეტულად, უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსი, დარჩება უცვლელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომა, შემდგომი დაგეგმვა იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დანაკარგების განუცდელად და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიოს საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები, საკმარისი სამი თვის განმავლობაში. ეს გამოიწვევს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც დავალიანების თანხა არ არის ფიქსირებული, ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია დარჩენილი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის. თანხები ბრუტო და არადისკონტირებულ საფუძველზეა წარმოდგენილი, მოიცავს მოსალოდნელ საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულების გავლენას.

ჯგუფი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები	2,762	7,248	36,746	62,687	10,921	120,364
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,175	–	–	–	–	31,175
სულ მომავალი გადახდები	33,937	7,248	36,746	62,687	10,921	151,539

კომპანია	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები	1,166	2,327	27,225	47,589	4,689	82,996
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,274	–	–	–	–	26,274
სულ მომავალი გადახდები	27,440	2,327	27,225	47,589	4,689	109,270

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ჯგუფი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები	2,364	4,382	28,284	60,330	19,140	114,500
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,851	–	–	–	–	31,851
სულ მომავალი გადახდები	34,215	4,382	28,284	60,330	19,140	146,351

კომპანია	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხები	1,323	2,427	18,202	44,650	6,074	72,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,980	–	–	–	–	26,980
სულ მომავალი გადახდები	28,303	2,427	18,202	44,650	6,074	99,656

ჯგუფს არ აქვს ოფიციალურად დადგენილი მიზნები კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით.

25. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები) ხასიათდება, ასევე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ რეალური ღირებულებას უახლოვდება.

ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხების რეალური ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2018 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	ჯგუფი					კომპანია			
	მესაკუთ- რები	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები	მესაკუთ- რები	უმაღლესი ხელმძღვა- ნელობა	შვილო- ბილი კომპა- ნიები	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები
სავაჭრო მოთხოვნები	6	38	1,682	6,069	–	3	473	1,682	2,165
გადახდილი ავანსები	–	–	–	49	–	–	209	–	43
გაცემული სესხები	1,441	–	–	–	1,441	–	–	–	–
გამოკლებული: სესხის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(1,441)	–	–	–	(1,441)	–	–	–	–
სესხები	–	–	(6)	–	–	–	(2,332)	(6)	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(35)	–	(25)	(1,462)	(35)	–	(142)	(18)	(1,446)
მისაღები დივიდენდები	–	–	36	–	–	–	–	36	–
გადასახდელი დივიდენდები	(14)	–	–	–	(14)	–	–	–	–
გასაცემი ხელფასები	–	(1,351)	–	–	–	(1,077)	–	–	–

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	ჯგუფი				კომპანია				
	უმადლესი მესაკუთ- რეები	უმადლესი ხელმძღვა- ნელობა	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები	უმადლესი მესაკუთ- რეები	უმადლესი ხელმძღვა- ნელობა	შვილო- ბილი კომპა- ნიები	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები
სავაჭრო მოთხოვნები	25	58	121	481	23	2	161	121	465
გაცემული სესხები	1,396	–	–	1,426	1,396	–	–	–	1,426
გამოკლებული: სესხის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(1,396)	–	–	–	(1,396)	–	–	–	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	–	–	(18)	(892)	–	–	(465)	(18)	(892)
მისაღები დივიდენდები	–	–	14	–	–	–	–	14	–
გადასახდელი დივიდენდები	(772)	–	–	–	(772)	–	–	–	–
გასაცემი ხელფასები	–	(744)	–	–	–	(617)	–	–	–

სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად მოიცავს კომპანიის მესაკუთრეებთან დაკავშირებულ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებს.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	ჯგუფი				კომპანია				
	უმადლესი მესაკუთ- რეები	უმადლესი ხელმძღვა- ნელობა	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები	უმადლესი მესაკუთ- რეები	უმადლესი ხელმძღვა- ნელობა	შვილო- ბილი კომპა- ნიები	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	5	98	4,365	21,559	2	13	1,351	4,365	1,686
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1	7	1	40	1	2	306	1	37
საიჯარო შემოსავალი	–	–	–	–	–	–	293	–	–
საქონლის გადასაყიდად შეძენა ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	–	–	–	(28)	–	–	(451)	–	(28)
სხვა მომსახურებების შესყიდვა	–	–	–	(199)	–	–	(673)	–	(152)
საიჯარო ხარჯი	–	–	(294)	(503)	–	–	(212)	(294)	(440)
ხელფასები და პრემიები	–	(2,746)	–	–	–	(1,857)	–	–	–
საპროცენტო შემოსავალი	14	–	–	92	14	–	–	–	92
საპროცენტო ხარჯი	(20)	–	–	–	(20)	–	–	–	–
შედგების წილი	–	–	(22)	–	–	–	–	(22)	–
შემოსავალი დივიდენდებიდან	–	–	–	–	–	–	–	42	–
გადახდილი დივიდენდები	(3,758)	–	–	–	(3,758)	–	–	–	–

26. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	ჯგუფი				კომპანია				
	უმადლესი მესაკუთ- რეები	უმადლესი ხელმძღვა- ნელობა	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები	უმადლესი მესაკუთ- რეები	უმადლესი ხელმძღვა- ნელობა	შვილო- ბილი კომპა- ნიები	მეკავშირე საწარ- მოები	სხვა დაკავში- რებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	44	23	337	361	4	15	1,536	337	331
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	10	8	3	4	1	5	562	3	2
საიჯარო შემოსავალი	—	—	—	—	—	—	314	—	—
საქონლის	—	—	—	(9,224)	—	—	(7)	—	(9,192)
გადასაყიდად შეძენა ძირითადი	—	—	—	(22)	—	—	(139)	—	(22)
საშუალებების და მომსახურებების შეძენა	—	—	—	—	—	—	—	—	—
სხვა მომსახურებების	—	—	—	(79)	—	—	—	—	(79)
შესყიდვა	—	—	—	—	—	—	—	—	—
საიჯარო ხარჯი	—	—	(247)	—	—	—	(215)	(247)	—
ხელფასები და პრემიები	—	(2,182)	—	—	—	(1,523)	—	—	—
საპროცენტო	14	—	—	92	14	—	—	—	92
შემოსავალი	—	—	—	—	—	—	—	—	—
საპროცენტო ხარჯი	(20)	—	—	—	(20)	—	—	—	—
შედგების წილი	—	—	58	—	—	—	—	58	—
შემოსავალი	—	—	—	—	—	—	—	45	—
დივიდენდებიდან	—	—	—	—	—	—	—	—	—
გადახდილი	(3,991)	—	—	—	(3,991)	—	—	—	—
დივიდენდები	—	—	—	—	—	—	—	—	—

27. არაფულადი ოპერაციები

2018 წელს ჯგუფისა და კომპანიის მიერ შეძენილი ძირითადი საშუალებები მოიცავდა კაპიტალიზებულ საპროცენტო დანახარჯს 596 ლარის ოდენობით, კაპიტალიზებული 11%-იანი განაკვეთით და საკურსო ცვლილებით გამოწვეულ ზარალს 265 ლარის ოდენობით.

28. ანგარიშგებების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წელს კომპანიამ სამეთვალყურეო საბჭო შექმნა. საბჭო ხუთი წევრისგან შედგება, რომელთაგან სამი არააღმასრულებელი დირექტორია.

2019 წლის მარტში კომპანიამ „Scope Ratings GmbH“-სგან მიიღო საკრედიტო რეიტინგი „BB-“.

კომპანიამ გამოუშვა ობლიგაციები 30,000 ლარის ოდენობით, რომელთა დაფარვის წელია 2022, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით 4.25% + საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული რეფინანსირების განაკვეთი. ობლიგაციებით განხორციელდა საქართველოს კომერციული ბანკისგან მიღებული მოკლევადიანი სესხების რეფინანსირება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაი საქართველოს“ მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

შპს „თეგეტა მოტორსი“

2018 წლის
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
მმართველობითი ანგარიშგება



ავთანდილ ჭოქოთელი
გენერალური დირექტორი



რევაზ ზორაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „თეგეტა მოტორსი“

2018 წლის
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
მმართველობითი ანგარიშგება

ავთანდილ წერეთელი
გენერალური დირექტორი

რევაზ ზირაქაძე
ფინანსური დირექტორი

სარჩევი

სარჩევი.....	2
„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია	3
გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები	5
„კომპანიის“ წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	6
კორპორაციული მართვა.....	7
საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში ¹	8
ბიზნესი და ოპერაციები	9
შვილობილი კომპანიების მიმოხილვა	13
ბრენდები.....	14
„კომპანიის“ სამომავლო გეგმები და 2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები	15
„თეგეტა ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია.....	16
„თეგეტა ჯგუფის“ ფინანსური შედეგების მიმოხილვა.....	17


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „თეგეტა მოტორსი“-ს პარტნიორებს და სამეთვალყურეო საბჭოს

შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 15 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ მმართველობით ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 27 სექტემბერი

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „თეგეტა მოტორსი“-ს პარტნიორებს და სამეთვალყურეო საბჭოს

შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 15 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებია მმართველობით ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 27 სექტემბერი

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია

შპს „თეგეტა მოტორსი“ („კომპანია“) დღეს ლიდერია საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში. ის წარმოადგენს უნივერსალურ კომპანიას, რომელიც მოდვაწეობს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, სასოფლო, სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საპოხი მასალებით, საბურავებით ვაჭრობისა და ტექნიკური მომსახურების სფეროში. თეგეტა მოტორსი კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს. მისი საქმიანობა რამდენიმე ბიზნეს მიმართულებად იყოფა, ესენია ავტო-საბურავები, ავტონაწილები, აკუმულატორები, საცხებ-საპოხი მასალები, დანადგარები და ავტოტექნომომსახურება.

თეგეტა მოტორსს შვილობილ კომპანიებთან (შემდგომში „ჯგუფი“) ერთად 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული ჰყავდა 1,600-ზე მეტი ადამიანი.

თეგეტა მოტორსი ემსახურება როგორც საცალო, ისე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 25 სერვის-ცენტრს, რომლებიც თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში მდებარეობს. „კომპანიის“ ფილიალები და სერვის ცენტრები მოიცავენ საქართველოს ყველა მსხვილ დასახლებულ პუნქტებს.

უმაღლესი დონის სერვისმა და საერთაშორისო სტანდარტების სერვის-ცენტრებმა განაპირობა ის, რომ „თეგეტა მოტორსი“, პირველად საქართველოში, ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში აღებული აქვს ISO სერთიფიკატები. 2016 წლიდან კომპანიამ მიიღო ISO 9001:2015 სერთიფიკატი.

- 2017 წლის შუა პერიოდში შპს „თეგეტა მოტორსი“ C ტიპი ინსპექტირების ორგანომ წარმატებით გაიარა გარე საკონტროლო აუდიტი.
- 2017 წლის ბოლოს კომპანიამ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კუთხით წარმატებით გაიარა გარე საკონტროლო აუდიტი.
- 2018 წლის 12 ივლისს შპს „თეგეტა მოტორსი“ C ტიპის ინსპექტირების ორგანომ წარმატებით გაიარა გარე საკონტროლო აუდიტი.
- 2018 წლის 4 დეკემბერს კომპანიამ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კუთხით წარმატებით გაიარა გარე საკონტროლო აუდიტი.

ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციისა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, „თეგეტა მოტორსმა“ 2009 წელს დამოუკიდებლად დაწერა ბიზნესის მართვისა და ბიზნეს-პროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული თანამედროვე პროგრამა „SAP“, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება.

2018 წლის დასაწყისში თეგეტა მოტორსი გახდა Group Auto Caucasus-ს წევრი.

2018 წლის სექტემბერში კომპანიამ დაწერა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვის (ISO 18001:2007) და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები (ISO 14001:2015).

თეგეტა მოტორსი აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „#არგამბოლო“, რომელიც 2016 წლის ბოლოს დაიწერა. პროექტის ფარგლებში ათასობით ავტომობილს ჩაუტარდა გამონაბოლქვის უფასო ტესტირება და პრობლემების შემთხვევაში მფლობელებს 50%-იანი ფასდაკლება მიეცათ სარემონტო სამუშაოებზე.

2018 წლის ბოლოს დაინერგა ბრიჯსტოუნის ბრენდის საბურავებზე უსასრულო გარანტიები.

შპს „თეგეტა მოტორსი“ დამატებით ოპერირებს შემდეგი შვილობილი კომპანიების მეშვეობით:

- **შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას** - სხვადასხვა სახის მძიმე ტექნიკის იმპორტი, რეალიზაცია და გაყიდვის შემდგომი მომსახურება. MAN-ის, SCHMITZ CARGOBULL-ის, CIFA-ს, TEREX-ის, ISUZU-ს და მრავალი სხვა სპეციალური ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი და პარტნიორი საქართველოში.
- **შპს თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტ** - სამშენებლო და საგზაო ტექნიკის იმპორტი, რეალიზაცია და გაყიდვის შემდგომი მომსახურება. JCB-ის ოფიციალური დილერი საქართველოში.
- **შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს** - მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რეალიზება და მომსახურება. „პორშეს“ და „მაზდას“ ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში.
- **შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა** - იაპონური ბრენდის Toyota-ს ოფიციალურ დილერი და ავტორიზებული სერვისის ცენტრი საქართველოში.
- **შპს თეგეტა აკადემია** - სასწავლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო სფეროსთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს.

** დეტალური ინფორმაცია „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების შესახებ მოცემულია 2018 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.*

ყველა ბიზნესი სტრუქტურირებულია, როგორც „კომპანიის“ 100%-იანი შვილობილი.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

კომპანიის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით კომპანიის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

კომპანია ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კომპანია ვალდებულია იღებს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

2018 წლის სექტემბერში კომპანიამ დანერგა გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები (ISO 14001:2015).

ISO 14001 არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის. ის ეხმარება ორგანიზაციებს გააუმჯობესონ თავიანთი გარემოსდაცვითი საქმიანობა რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების გზით და ნარჩენების შემცირებით, კონკურენტუნარიანი უპირატესობითა და დაინტერესებული მხარეთა ნდობით.

„კომპანიის“ წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს თეგეტა მოტორსისა და მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები-სავალუტო რისკები.

კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვისა და სესხების ვალუტებსა და ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტებს შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესწილად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო, ბრიტანული გირვანქა-სტერლინგი და იაპონური იენი. აქედან, ყველაზე მნიშვნელოვანია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში. კომპანია სავალუტო რისკების ნაწილობრივ შესამცირებლად გეგმავს 2019 წელს გეგმავს უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების გალარებას.¹

¹ დეტალური ინფორმაცია კომპანიის მიერ ფინანსური რისკების მართვის შესახებ მოცემულია 2018 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კორპორაციული მართვა

თეგეტა მოტორსში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

არსებული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით, „თეგეტა მოტორსმა“ ითანამშრომლა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და მიიღო სიღრმისეული რეკომენდაციები კორპორაციული მართვის კუთხით. მენეჯმენტის განცხადებით, „თეგეტა მოტორსში“ განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში¹

ავტოპარკი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ზრდის მაჩვენებელი 2018 წელს 5,1% იყო, ხოლო რეგისტრირებულ ავტომობილთა ჯამური რაოდენობა 1.321 მილიონი იყო. 2018 წლის მდგომარეობით ავტომობილების 62% მსუბუქია, 20,2% მსუბუქი მაღალი გამავლობის (SUV), 7,7% სატვირთო, 4% სამგზავრო, 2,33% სასოფლო-სამეურნეო, ხოლო დანარჩენი 3,8% წარმოადგენს მოტოტრანსპორტს, სპეციალიზებულ ავტოტრანსპორტს და სხვა ტიპის ავტოტრანსპორტს. 4 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1,9%-ს შეადგენს, 4-6 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 3,9%-ს შეადგენს, ხოლო 20 წელზე მეტი ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის 45,5%-ს შეადგენს.

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ბიზნესი და ოპერაციები

თეგეტა მოტორსის მიმოხილვა

შვილობილების მეშვეობით ავტომობილების გაყიდვის გარდა თეგეტა მოტორსის ასორტიმენტი ასევე მოიცავს შემდეგ პროდუქციას: საბურავები, ზეთები, აკუმულატორები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების ნაწილები, ფილტრები, ავტომობილის აქსესუარები და მოვლის საშუალებები, საავტოფარეხო და ინდუსტრიული დანადგარები, ფოლადის გვარლები და საკონვეიერო ლენტები, სპეც ტექნიკის ნაწილები, დიზელის აგრეგატების ნაწილები.

თეგეტა მოტორსი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც მსუბუქი ავტომობილების სერვისის სრულ სპექტრს, ასევე სატვირთო და სპეც-ტექნიკის ხარისხიან მომსახურებას. თეგეტა მოტორსის სერვისის თანამშრომლები ყოველწლიურად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს უცხოელ პარტნიორებთან როგორებიცაა: ZF, BOSCH, SCHAEFFLER, SHELL, DENSO, FEBI, MOTUL, VARTA და სხვა. აღნიშნული სერვისცენტრები დაკომპლექტებულია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. "თეგეტა მოტორსი" კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოტექნომომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს, რაც მოიცავს თითქმის ყველა მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის: ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო და მიწისმოხრელი ტექნიკის დიაგნოსტიკას და შეკეთებას სპეციალური, ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით. მომსახურება მოიცავს:

- ვულკანიზაცია;
- სავალი ნაწილის შეკეთება;
- ელ. სისტემის დიაგნოსტიკა და შეკეთება;
- ძრავის დიაგნოსტიკა და შეკეთება;
- თვლების შეყრის გასწორება;
- დისკების გასწორება;
- ძრავში ზეთის შეცვლა;
- ავტომატურ კოლოფში ზეთის შეცვლა;
- წინა მაშუქების გასწორება სტენდზე;
- გადაცემათა კოლოფის შეკეთება;
- საწვავი სისტემის დიაგნოსტიკა და შეკეთება;
- სამღებრო და სათუნუქე სამუშაოები;
- ბუნებრივი აირის მონტაჟი;
- რეცხვა.

“ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად 5 ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- საავტომობილო პროდუქტების იმპორტს, დისტრიბუციას, საცალო გაყიდვებს და ავტომობილების სერვისის ახორციელებს „თეგეტა მოტორსი“;
- სპეციალური ტექნიკის, ავტობუსების იმპორტს და გაყიდვებს ახორციელებს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“;
- სამშენებლო და საგზაო ტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების იმპორტს, გაყიდვებს და საგარანტიო მომსახურებას ახორციელებს შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ“;
- სამარკო ნიშნის ავტომობილების, როგორცაა „პორშე“ და „მაზდა“, იმპორტს, გაყიდვებსა და მომსახურებას ახორციელებს შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“;
- იაპონური ბრენდ „ტოიოტა“-ს იმპორტსა და გაყიდვებზეა მთლიანად ორიენტირებული შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“

არსებული უნიკალური პროდუქტები

1. „ჩემი ავტომობილის ისტორია“

ჩემი ავტომობილის ისტორია, არის ონლაინ მომსახურება „თეგეტა მოტორსის“ როგორც საცალო, ასევე კორპორაციული კლიენტებისათვის, რომელთაც საშუალება აქვთ, იხილონ საკუთარი დანახარჯები და დანაზოგები, განხორციელებული მომსახურებებისა თუ შენაძენების ხარჯთაღრიცხვა და მათი ანალიზი სხვადასხვა ჭრილში, ონლაინ რეჟიმში აკონტროლონ საკუთარი ავტომობილის ისტორია, მიიღონ აუცილებელი შეხსენებები და რეკომენდაციები ავტომობილის მოვლასთან დაკავშირებით. www.mycarhistory.ge-ზე მომხმარებლების მიერ „თეგეტა მოტორსში“ განხორციელებული ყოველი ოპერაცია ავტომატურად ვებ-პლატფორმაზე იწახება. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და მომხმარებელს მასზე წვდომა აქვს მხოლოდ ავტორიზაციის გავლის შემდეგ, პირადი მონაცემების შეყვანის საფუძველზე. აღნიშნულ სერვისს არ აქვს ანალოგი ქვეყნის მასშტაბით.

2. ონლაინ რეზერვაცია

ონლაინ რეზერვაცია წარმოადგენს წინასწარი ჩაწერის სერვისს, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დაჯავშნოს ვიზიტი სწრაფი სერვისის, ან სერვისების, მისაღებად „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. მომხმარებელს რამდენიმე წუთში შეუძლია სახლიდან გაუსვლელად ჩაეწეროს მისთვის სასურველ დროს და თავი აარიდოს შესაძლო ლოდინის პროცესს, დაზოგოს დრო და სწრაფად მიიღოს სასურველი სერვისი:

- ძრავის ზეთის შეცვლა;
- ძრავის ზეთის ფილტრის შეცვლა;
- ძრავის ჰაერის ფილტრის შეცვლა;
- საწვავის ფილტრის შეცვლა;
- სალონის ფილტრის შეცვლა;
- საბურავის დაშლა-აწყობა;
- თვლების შეყრა;
- აკუმულატორის შეცვლა;
- საბურავის ბალანსირება;
- ალუმინის დისკების გასწორება;
- ავტომატურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა;
- სავალი ნაწილის შემოწმება.

3. თეგეტა ქარდი

"თეგეტა ქარდი" (Classic, Silver, Gold, VIP) არის ავტომფლობელთათვის განკუთვნილი ლოიალობის ბარათი. ბარათის მფლობელი სარგებლობს „ჩემი ავტომობილის ისტორიის“ ონლაინ მომსახურებით. ნებისმიერი პროდუქტის/მომსახურების შეძენისას „თეგეტა ქარდზე“ აკუმულირდება ქულები, მათი გამოყენება სპეციალურ აქციებში მონაწილეობისას არის შესაძლებელი.

მომხმარებლის მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი შენაძენი პროდუქტსა თუ სერვისზე "თეგეტა მოტორსის" ცენტრებში ტარდება „თეგეტა ქარდზე“. ბარათზე ქულების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებისას, მფლობელები მონაწილეობას იღებენ "თეგეტა მოტორსის" სპეციალურ აქციებში (მაგ. გამოცხადებული გათამაშებები, ქულების გაორმაგება და ა.შ.).

4. თეგეტა კომფორტი

„თეგეტა მოტორსი“ მომხმარებელს ავტომობილის შეკეთებას სერვისცენტრში მისვლის გარეშე სთავაზობს. „თეგეტა კომფორტი“ არის მომსახურება საქმიანი ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ დრო თავად მიიყვანონ ავტომობილი სერვისცენტრში. „თეგეტა კომფორტი“ გულისხმობს ავტომობილის მომსახურებას მომხმარებლის სერვის ცენტრში მისვლის გარეშე. „თეგეტა მოტორსის“ პერსონალური მენეჯერი მიაკითხავს ავტომობილს მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე და თავად უზრუნველყოფს მის სერვის ცენტრში გადაყვანას და შეკეთებას. პერსონალური მენეჯერი მიდის მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე, იბარებს ავტომობილს, რომელზეც მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას „კომპანია“ და უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. აღსანიშნავია, რომ ავტომობილი ტრანსპორტირების დროს დაზღვეულია.

5. ავტოსერვისის ტექნიკური პროექტები

„თეგეტა მოტორსი“ მეწარმეებს, რომელთა ბიზნეს გეგმა დაკავშირებულია საავტომობილო სფეროსთან (ავტოტექნომსახურებასთან), ტექნიკურ-საკონსულტაციო დახმარებას სთავაზობს. ავტოსერვისის ბიზნესის დაწყების ან გაფართოების მსურველებს „კომპანია“ სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

- ტექნიკური პროექტის შექმნა;
- სამშენებლო პროექტის შექმნა;
- არქიტექტორული გადაწყვეტილებები;
- იურიდიული საკითხების მოგვარება;
- ობიექტის აშენება;
- მოწყობილობა-დანადგარების შერჩევა, მიწოდება, მონტაჟი;
- სარეალიზაციო პროდუქციით მომარაგება;
- დახმარება კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

6. ონლაინ კატალოგი

„თეგეტამ“ მრავალფუნქციური პორტალი „shop.tegetamotors“ შეიმუშავა, რომელიც პრაქტიკული პლატფორმაა მომხმარებლისთვის და წარმოადგენს ავტოსათადარიგო ნაწილების ონლაინ კატალოგს. დღეისათვის კატალოგში წარმოდგენილია საბურავების და აკუმულატორების სრული ასორტიმენტი. ონლაინ კატალოგის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია შეარჩიოს სასურველი პროდუქტი, მოიძიოს რომელ ფილიალში და რა ფასადაა მისი შეძენა შესაძლებელი. კატალოგი ხელმისაწვდომია მისამართზე shop.tegetamotors.ge მარტივი რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

გაყიდვის არხები

თეგეტა მოტორსი ბაზარს უკავშირდება გაყიდვების 4 მთავარი არხით:

- საცალო
- კორპორატიული
- სახელმწიფო ტენდერები
- საბითუმო

საცალო ვაჭრობა

კომპანიას ჰყავს 250,000-მდე ერთგულების ბარათის მფლობელი ყოველწლიურად აქტიური კლიენტი. კლასიკ ბარათი - 160,000, ვერცხლის ბარათი - 45,000, ხოლო ოქროს ბარათი - 40,000. თეგეტა მოტორსი მომხმარებლებს ლოიალობის ბარათების მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ დაგროვებადი სისტემით. დაგროვებული ქულებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი ბარათის 1 გატარებით.

კორპორატიული კლიენტები

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 35,000-ზე მეტ კორპორატიულ კლიენტს საქართველოში არსებული ყველა ბიზნეს სექტორიდან. კორპორატიული გაყიდვების არხი „ჯგუფის“ გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მოიცავს შემდეგ სექტორში მომუშავე კომპანიებს: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება.

სახელმწიფო ტენდერები

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 1,200-მდე საჯარო ორგანიზაციას. რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს მომავალში სახელმწიფო სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდის შესაბამისად გაიზარდოს ბიზნესის ეს მოცულობაც.

საბითუმო ვაჭრობა

თეგეტა მოტორსი აქტიურად მოქმედებს საბითუმო გაყიდვებს სფეროში. კომპანიას ჰყავს 3,700-ზე მეტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მასშტაბით. 2018 წელს „თეგეტა მოტორსმა“ შექმნა საბითუმო პორტალი, რის საშუალებითაც სავაჭრო პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ სასურველი პროდუქტი ოფისიდან გაუსვლელად, ონლაინ შეკვეთების საშუალებით.

„თეგეტა ჯგუფის“ სტრუქტურა მოიცავს კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან ავტომობილებისა და საავტომობილო პროდუქტების იმპორტის, დისტრიბუციის და სერვისის საცალო ვაჭრობის საქმიანობაში.

„კომპანია“ არის ლიდერი როგორც საცალო გაყიდვებში, ასევე, საბითუმო გაყიდვების, კორპორატიული გაყიდვებისა და სახელმწიფო ტენდერების ნაწილში.

სრულად კონსოლიდირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ასეთი კორპორატიული სტრუქტურა „კომპანიას“ საშუალებას აძლევს თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას.

შვილობილი კომპანიების მიმოხილვა

შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას - დაარსდა 2006 წელს, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული საავტომობილო კონცერნის, MAN TRUCK & BUS AG-ის ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში. დღეისათვის კომპანია MAN-ის, SCHMITZ CARGOBULL-ის, CIFA-ს, TEREX-ის, ISUZU-ს და მრავალი სხვა სპეციალური ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი და პარტნიორია საქართველოში.

შპს თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ - დაარსდა 2007 წელს. JCB-ის ოფიციალური დილერია საქართველოში. იგი მომხმარებელს სთავაზობს ცნობილი ბრიტანული ბრენდის, JCB-ის სამშენებლო და საგზაო ტექნიკას სრული საგარანტიო მომსახურებით, ასევე ნებისმიერი სამშენებლო ტექნიკის სერვისსა და სათანადო ნაწილებს.

შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს - დაარსდა 2010 წელს. „პორშე“ და „მაზდა“-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. 2011 წელს კომპანიამ გახსნა „პორშე ცენტრი თბილისი“, ხოლო 2012 წელს ქართულ ბაზარზე შემოიყვანა იაპონური ბრენდი „მაზდა“. ახდენს აღნიშნული სამარკო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომობილების იმპორტს, რეალიზებასა და პორშე და მაზდას სამარკო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომობილების მომსახურებას.

შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა - დაარსდა 2013 წელს. TOYOTA-ს ოფიციალური დილერია საქართველოში. 2013 წელს „თეგეტა მოტორსსა“ და „ტოიოტა კავკასიას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება შედგა და 2013 წლის 26 აგვისტოს დაფუძნდა „TOYOTA CENTER TEGETA.“ 2014 წელს კომპანიამ „ტოიოტა კავკასიისგან“ ტოიოტას დილერისა და ავტორიზებული სერვისცენტრის სტატუსი მიიღო. კომპანია მონობრენდულია და მისი მომსახურება სრულიად ტოიოტას ბრენდის ავტომობილებზეა ფოკუსირებული.

შპს თეგეტა აკადემია - შპს თეგეტა აკადემია - იურიდიულ პირად დაარსდა 2017 წელს. მისი მიზანია პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ქვეყანაში, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ავტომომსახურების სფეროში და მათი შემდგომი დასაქმება. 2018 წელს „თეგეტა აკადემიის“ მიერ გადამზადდა 1,336 ადამიანი. ამასთან სპეციალური პროგრამების ფარგლებში თეგეტა აკადემიის მიერ გადამზადებული 114 პირი დასაქმდა „თეგეტა მოტორსის“ სხვადასხვა ფილიალებში. თეგეტა აკადემიის მიერ განხორციელდა მასშტაბური პროექტები: თეგეტა მოტორსის გაყიდვების კონსულტანტების და მოლარე-ოპერატორების პროფესიული ატესტაცია, მისტიური კვლევის ხარისხის მონიტორინგი, უცხო ენების პროექტი კომპანიის თანამშრომლებისთვის და მენეჯერებისთვის, შემუშავდა სექტორის მენეჯერის პროფესიული სტანდარტი, განხორციელდა დაიწყე კარიერა თეგეტა მოტორსის ფარგლებში 4 ნაკადის სწავლება. შემუშავდა 29 ახალი ტრენინგ მოდული, რომლიდანაც 18 უკვე განხორციელდა. აკადემიის სასწავლო კურსს უძღვებიან როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტრენერები, მსოფლიოს წამყვანი ავტოინდუსტრიის სფეროდან, როგორებიც გახლავთ ბოში, მოტული, პორშე, ტოიოტა და სხვა მსოფლიო წამყვანი ბრენდები.

დეტალური ინფორმაცია „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების შესახებ მოცემულია 2018 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ყველა ბიზნესი სტრუქტურირებულია, როგორც „კომპანიის“ 100%-იანი შვილობილი.

ბრენდები

„თეგეტა ჯგუფმა“ ჩამოაყალიბა პარტნიორული ურთიერთობები მრავალ საერთაშორისო მწარმოებელთან და ბრენდთან. თეგეტა მოტორსი ოფიციალურად წარმოადგენს გლობალურ საავტომობილო ბრენდებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ბრენდების სია შემდეგია:

Bridgestone	Denso
Michelin	Febi
Continental	Hengst
Shell	MAN
Mobil	JCB
Motul	Toyota
Varta-johnson Controls	Porsche
Bosch	Mazda
ZF group	Hyundai

„ჯგუფში“ წარმოდგენილია თითქმის ყველა წამყვანი მწარმოებელი ავტონაწილების და მასალების მწარმოებელი კომპანიის პროდუქცია. მსხვილი ბრენდების სია შემდეგ სურათშია ნაჩვენები:



„კომპანია“ ყოველწლიურად ზრუნავს მაღალტექნოლოგიურ განვითარებაზე მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მხარდაჭერით, დასავლური ცოდნის, გამოცდილების გაზიარებითა და საკუთარ საქმიანობაში დანერგვით. „თეგეტა მოტორსი“ მუდმივად ხარისხზეა ორიენტირებული, სწორედ ამაზე მეტყველებს „კომპანიის“ უცვლელი სლოგანი „დროა აირჩიო ხარისხი“.

„კომპანიის“ სამომავლო გეგმები და 2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

სამომავლო გეგმები

„კომპანია“ მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების წარმატებული საქმიანობა და შესაბამისად შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ზრდას. „თეგეტა მოტორსის“ ძირითადი სტრატეგიული მიზნები მომავალი წლებისთვის მოიცავს:

- კომპანიის პოზიციის გამყარება ბაზარზე და ბაზრის წილის ზრდა ყველა მიმართულებით;
- პროდუქციის დივერსიფიკაცია ბაზარზე მოსალოდნელი რყევების თავიდან ასაცილებლად;
- ფილიალების ქსელის გაფართოება საქართველოს მასშტაბით;
- ახალი ბაზრების ათვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ პარტნიორებთან ერთად.

კომპანიის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, კერძოდ სასაწყობო და საოპერაციო ობიექტების მშენებლობა, დადგენილი სტრატეგიის მიხედვით კომპანია დამატებით განიხილავს სასესხო და/ან სააქციო კაპიტალის ბაზარზე გასვლას და სამომავლო პროექტების დასაფინანსებლად კაპიტალის მოზიდვას, კომპანიის მიზანია მსხვილ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ფონდებთან მუშაობა, მოზიდული კაპიტალი კომპანიას საშუალებას მისცემს შეამციროს სასესხო ვალდებულების ტვირთი და დააფინანსოს სამომავლო პროექტები, ხოლო გრძელ ვადაში კი გაისტუმროს ინვესტორი ორივე მხრისთვის მომგებიანი გარიგებით.

თეგეტა მოტორსის გრძელვადიანი სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე გასვლა და აქციების გამოშვება, ეს იქნება როგორც კომპანიისთვის ისე ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- გაიხსნა ბაქოს მესამე ფილიალი;
- 2018 წლის დასაწყისში თეგეტა მოტორსი გახდა Group Auto Caucasus-ს წევრი;
- 2018 წლის სექტემბერში კომპანიამ დაწერა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მართვის (ISO 18001:2007) და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები (ISO 14001:2015);
- 2018 წლის ბოლოს დაიწერა ბრიჯსტონის ბრენდის საბურავებზე უსასრულო გარანტიები.

2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- 2019 წელს შპს თეგეტა აკადემიამ გაიარა აკრედიტაცია და მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
- 2019 წელს გაიხსნა შპს „თეგეტა მოტორსის“ ბათუმის რეგიონალური ცენტრი;
- 2019 წლის 30 აპრილს შპს თეგეტა მოტორსმა 30 მილიონი ლარის ოდენობის ობლიგაციების ემისია განახორციელა. ობლიგაციები გამოშვებულ იქნა 1,000 (ათასი) ლარი ნომინალური ღირებულების ობლიგაციებად და მათი გამოსყიდვა მოხდება 2022 წლის 30 აპრილს, მათი ძირი ღირებულებით. ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრები კომპანიამ მიმართა არსებული საბანკო სესხების რეფინანსირებისთვის, რის შედეგადაც შეძლო ვალდებულებების ვადიანობის გახანგრძლივება, დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიცირება და წვდომა კაპიტალის ბაზრებზე;
- 2019 წელს კომპანიამ განავითარა კორპორატიული მართვის სისტემა და კომპანიამ სამეთვალყურეო საბჭო შექმნა. საბჭო ხუთი წევრისგან შედგება, რომელთაგან სამი არააღმასრულებელი დირექტორია;
- 2019 წლის მარტში კომპანიამ „Scope Ratings GmbH“-სგან მიიღო საკრედიტო რეიტინგი „BB-“;
- 2019 წელს შპს თეგეტა მოტორსმა დაიწყო ვოლვოს ბრენდის ავტომობილებით ვაჭრობა.

„თეგეტა ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია

შპს „თეგეტა მოტორსი“ მის შვილობილ კომპანიებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ბიზნეს-ჯგუფს. „კომპანია“ სრულად აკონსოლიდირებს შვილობილების ფინანსურ შედეგებს და წარადგენს ერთიანი ბიზნეს-ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შვილობილების ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან კონტროლის დაკარგვის დღემდე. ბიზნესების შეძენა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით, რომლის მიხედვითაც შეძენილი ბიზნესის აქტივები და ვალდებულებები შეძენის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. „ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტი ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. „თეგეტა ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2017 და 2018 ფისკალური წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორულად შემოწმებულია დიდი ოთხეულის წევრი აუდიტორული კომპანიების მიერ.

„თეგეტა ჯგუფის“ ფინანსური შედეგების მიმოხილვა

შემოსავლები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

„თეგეტა ჯგუფის“ ბრუნვა მოიცავს კლიენტებზე განხორციელებულ გაყიდვებს „ჯგუფში“ შემავალი მშობელი კომპანიის და შვილობილების მიერ. 2018 წელს „თეგეტა ჯგუფის“ გაყიდვებმა 427,984 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 23.2%-ით აღემატებოდა წინა წლის შედეგს, როდესაც გაყიდვებმა 347,347 მილიონი ლარი შეადგინა. რეალიზებული საქონლისა და მომსახურებების თვითღირებულება კი გაიზარდა წინა წელთან შედარებით 25.5%-ით. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების უფრო მეტად ზრდა შემოსავლებთან შედარებით გამოწვეულია უცხოური ვალუტის კურსების გაზრდით და ავტომობილების რეალიზაციის წილის ზრდით მთლიან გაყიდვებში.

(ათას ლარში)	2017	2018
შემოსავლები	347,347	427,984
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(277,155)	(347,880)
საერთო მოგება	70,192	80,104

საოპერაციო ხარჯები საქმიანობიდან

2018 წელს საოპერაციო მოგებამ 31.804 მილიონი ლარი შეადგინა. 2018 წლის მონაცემი 5.3%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, როდესაც საოპერაციო მოგებამ 33.585 მილიონი ლარი შეადგინა.

(ათას ლარში)	2017	2018
შემოსავლები	347,347	427,984
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(277,155)	(347,880)
საერთო მოგება	70,192	80,104
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(35,613)	(39,374)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	(4,371)	(8,681)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	5,048	2,476
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,671)	(2,721)
საოპერაციო მოგება	33,585	31,804

საოპერაციო მოგების მოცულობის შემცირება პირველ რიგში გამოწვეულია უცხოური ვალუტის კურსების ზრდის გამო. ასევე, სხვა საოპერაციო შემოსავლის შემცირებით, ვინაიდან კომპანიის 2017 წელს არსებული მაღალი სხვა საოპერაციო შემოსავლები ძირითადად გამოწვეული იყო 1,695 მილიონი ლარის საკომისიო შემოსავლით, რომელიც „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ მიიღო „MAN Truck and Bus AG“-ის მიერ 2017 წელს შემოყვანილი 102 ლურჯი ავტობუსიდან.

სხვა საოპერაციო შემოსავლები (ათას ლარში)	2017	2018
შემოსულობა საგარანტიო რეზერვის	455	467
გადაფასებიდან		
საოპერაციო საიჯარო შემოსავალი	74	227
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	55	165
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება	98	134
შემოსავალი სასაწყობო მომსახურებიდან	80	110
შემოსავალი ჯარიმებიდან	24	85
სააგენტო მომსახურების საკომისიო	1,695	13
გაუფასურების ანარიცხებისა და სხვა	581	-
მოთხოვნებზე		
მარაგების ჩამოწერის აღდგენა	485	-
სხვა შემოსავალი	1,501	1,275
სულ	5,048	2,476

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წელს 10.6%-ით გაიზარდა და 39.37 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წელს ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 35.61 მილიონ ლარს შეადგენდა. ხარჯების ზრდის მთავარი გამომწვევი ფაქტორი იყო 2018 წელს კომპანიის მასშტაბის ზრდა.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (ათას ლარში)	2017	2018
პერსონალის ხარჯი	(20,062)	(20,524)
საიჯარო ხარჯი	(3,642)	(5,124)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,732)	(3,280)
საოფისე ხარჯი	(1,617)	(2,060)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(1,956)	(1,955)
პროფესიონალური მომსახურებები	(1,484)	(1,659)
კომუნალური ხარჯი	(1,108)	(1,250)
სამივლინებო ხარჯი	(687)	(834)
კომუნიკაციის ხარჯი	(399)	(564)
უსაფრთხოება	(379)	(417)
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	(524)	(396)
საბანკო ხარჯები	(270)	(325)
საწვავის ხარჯი	(222)	(279)
სხვა ხარჯები	(531)	(707)
სულ	(35,613)	(39,374)

EBITDA

2018 წელს EBITDA 37.1 მილიონი ლარი იყო, რაც 2.1%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, როდესაც EBITDA 37.98 მილიონი ლარი იყო. EBITDA-ს შემცირება ძირითადად გამოიწვია საერთო მოგების მარჟის შემცირებამ, სხვა საოპერაციო შემოსავლის შემცირებამ.

(ათას ლარში)	2017	2018
შემოსავლები	347,347	427,984
საოპერაციო მოგება	33,585	31,804
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(4,390)	(5,338)
EBITDA	37,975	37,142

ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი) და წმინდა მოგება

„თეგეტა ჯგუფის“ ფინანსური ხარჯი უმეტესწილად წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს „თეგეტა ჯგუფის“ საბანკო ვალებსა და სხვა ინსტრუმენტებზე. 2018 წელს საპროცენტო ხარჯმა 9.67 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 8.4%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც საპროცენტო ხარჯი 8.92 მილიონი იყო. საპროცენტო ხარჯის ზრდა გამოწვეული იყო 2018 წლის განმავლობაში სასესხო ვალდებულებების მოცულობის ზრდით¹.

2018 წელს დაფიქსირდა ზარალი საკურსო სხვაობიდან 2.29 მილიონი ლარი, რაც გამოწვეული იყო უცხოური ვალუტის კურსის ზრდით. 2017 წელს მოგებამ საკურსო სხვაობიდან 2.97 მილიონი ლარი შეადგინა. კომპანია უცხოური ვალუტის კურსების ზრდის გამო გამოწვეული საკურსო სხვაობების შესამცირებლად 2019 წელს გეგმავს სესხების გაღარებას.

(ათას ლარში)	2017	2018
შემოსავლები	347,347	427,984
საოპერაციო მოგება	33,585	31,804
საპროცენტო შემოსავალი	240	372
საპროცენტო ხარჯი	(8,919)	(9,672)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა / (ზარალი)	2,971	(2,291)
საკომისიო ხარჯები	(371)	(311)
მეკავშირე კომპანიების შედეგების წილი	58	(22)
მოგება დაბეგვრამდე	27,564	19,880
მოგების გადასახადის შეღავათი/(ხარჯი)	(608)	(638)
წმინდა მოგება	26,956	19,242